50 თეთრი
გამოდის:
ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

N68(3384) 17 - 21 ივნისი 2016 წ
ფასი 50 თეთრი
ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# რაზე ისაუბრეს ბოკერიამ და მარგველაშვილმა დახურულ კარს მიღმა?

3, 7



„მერაბიშვილი იმიტომ კი არ ზის ციხეში, რომ დამნაშავეა, იმიტომ ზის, როგორც ჩანს, ვერ მოილაპარაკა ხელისუფლებასთან. რომ მოლაპარაკებულიყო, როგორც მურუსიძე, შეიძლება მერაბიშვილიც გვენახა დღეს მაღალ თანამდებობაზე და ბიძინა ივანიშვილს ისიც მსხვერპლად გამოეცხადებინა, მურუსიძის მსგავსად“

## რას ნიშნავს „შავი კვარტეტი“, რის გამოც საქართველოს უვიზო მიმოსვლა გადაუვადეს?

9



## დავით ფერაძე: „ვინ გადაურჩება, რომელი მთავრობა და რომელი უწყება, ამ დაზარალებულ აბიტურიენტებს და მათ მშობლებს?“

12



რა პრობლემებს ელიან ექსპერტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?

## მარგველაშვილს სულ ფეხებზე ჰკიდია, რას ფიქრობენ რიგითი მოქალაქეები!

2



## „რამდენი ცნობილი მსახიობის ჩამოვა საქართველოში, აუცილებელია, ყველა საპატრიარქოში მივიდეს?“

2



## ნარმანიამ – „სითი პარკის“ პრობლემას მოვაგვარებთ, მაგრამ... ხალხის ხარჯზე!



8

## 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი სფერო საქართველოში

5



## უხრწნელ ბიძინას ჯერ არ წაუკითხავს სტრასბურგის დასკვნა?

6



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# მარგველაშვილს სულ ფეხებზე ჰკიდია, რას ფიქრობენ რიგითი მოქალაქეები!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



პრეზიდენტის პრესსპიკერი ეკა მიშველაძე ადასტურებს, რომ გიორგი მარგველაშვილსა და „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბოკერიას შორის შეხვედრა პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა.

ეკა მიშველაძის განმარტებით, პრეზიდენტთან პოლიტიკური პარტიების ლიდერები ხშირად დადიან.





შეეხებოდა თუ არა საუბარი გიგა ბოკერიას თხოვნას ვანო მერაბიშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით, ეკა მიშველაძემ განაცხადა, რომ შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მის შინაარსზე ინფორმაციას არ ფლობს.

ცნობისათვის, „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმყოფებოდა. გიგა ბოკერია პრეზიდენტ მარგველაშვილს შეხვდა.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის" პრესსამსახურში აცხადებენ, გიგა ბოკერიამ და გიორგი მარგველაშვილმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ისაუბრეს.



ვისი ინიციატივით შედგა შეხვედრა, „ნაციონალურ მოძრაობაში" არ აკონკრეტებენ. (pia.ge)

● **ეკა მიშველაძემ, ისაო, მარტო ვმუშაობ და აბა, მე რა ვიცი, რაზე ისაუბრეს მარგველაშვილმა და ბოკერიამო.**

**აფერუმ თქვენს პრესსპიკერობას — სახელმწიფო საიდუმლოება თუ არ განიხილეს და იმედია, ბოკერიასთან ამაზე მაინც არ ისაუბრებდა მარგველაშვილი, ძმაკაცური შეხვედრა თუ არ ჰქონდათ, რაც პრემიერის შემთხვევაშიც თურმე, ხდება ხოლმე, პრესსპიკერმა როგორ არ უნდა იცოდეს, რა თემებს განიხილავს პრეზიდენტი?!**

**ახ, გამხელა არ შეიძლება? ჰოდა, მასე თქვით, თქვე დალოცვილებო — ეს იყო პრივატული საუბარი, რომლის შინაარსიც თქვენი ერთი ადგილის საქმე არ არისო, მორჩა და გათავდა, რა.**

**ახლა კი როგორი შთაბეჭდილება შეიქმნა, იცით? მარგველაშვილს სულ ფეხებზე ჰკიდია, რას ფიქრობენ და რას იფიქრებენ ქვეყნის მოქალაქეები, ის მოქალაქეები, რომლებმაც ცნობილი მიზეზის გამო მას არჩევნებზე ხმა მისცეს.**

**რატომ ჰკიდია მოქალაქეების აზრი და განცდები, ჩემო ბატონო და იმიტომ, რომ როცა პრეზიდენტი გიგა ბოკერიას ხვდება, „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს, პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც მოქალაქეების ძალიან დიდ ნაწილში განსაკუთრებული ანტიპათიით სარგებლობს, კეთილი უნდა ინებოს და განმარტოს, რა აკავშირებს ამ ადამიანთან, რატომ ხვდება დახურულ კარს მიღმა.**

**არა, ზოგადად, მარგველაშვილი თავს რომ არ იწუხებს ხოლმე ახსნა-განმარტებებით და სულაც არ დარდობს, რომ ანგარიშვალდებულია იმ მოქალაქეების მიმართაც კი, ვინც მას ხმა სულაც არ მისცა, არახალი ამბავია, მაგრამ ბოკერიასთან შეხვედრის მიზეზები კი აუცილებლად უნდა განმარტოს. დიახ, კეთილი უნდა ინებოს და ის მაინც უნდა თქვას — თქვე კაი ხალხო, რას შეყარეთ ქვეყანა, არ მაქვს უფლება, ვინც მინდა, ის მივიღო პრეზიდენტის სასახლეშიო? მაგრამ არა, აი, ასე ფეხებზე იკიდებს, რას იფიქრებენ მოქალაქეები და დუმილს ინარჩუნებს. ვაახ, ეს ოხერი დუმილიც კიდევ ვეტო ხომ არ არის, ვინმემ დაძლიოს, არა?!**

**განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მარგველაშვილისგან განმარტების მოსმენა იმ ფონზე, როცა ივანე მერაბიშვილთან დაკავშირებით ამხელა ამბავია ატეხილი, რომ ბოკერიასთან შეხვედრას დაემთხვა ვანო მაჭავარიანის ახალ თანამდებობაზე დანიშვნა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.**

**ისე, თუ არ უნდა ხალხთან ურთიერთობა, კითხვებზე პასუხების გაცემა — ქიმიის გაკვეთილზე მგონია თავი და ვიბნევიო, მობეზრდა პრეზიდენტობა და ის, რომ ყველა გამადიდებელი შუშით უყურებს, წავიდეს, იჭერს ვინმე?!**

## პრემიების ცვენა კულტურის სამინისტროში



კულტურის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მათ დანამატების გარდა მიღებული აქვთ პრემიებიც, 15 თვის განმავლობაში, ჯამში, 26 570 ლარი.

პრემიისა და დანამატის სახით კი მინისტრის მოადგილეებზე 15 თვეში 193 220 ლარი გაიცა.

სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს 2015 წელს 35 400 ლარის დანამატი აქვს აღებული, 2015 წელს დანამატები მიიღეს ასევე, კულტურის მინისტრის დანარჩენმა სამმა მოადგილემაც, თითომ 32 640 ლარის ოდენობით. ჯამში, ოთხმა მოადგილემ 2015 წელს დანამატის სახით მიიღო 133 320 ლარი.

2015 წელს მინისტრის მოადგილეებს ასევე მიღებული აქვთ პრემიებიც, მიხეილ გიორგაძის პირველი მოადგილის პრემიების ოდენობა 2015 წელს 6 925 ლარს შეადგენს. მას პრემია მიღებული აქვს აპრილის, აგვისტოს, ნოემბრისა და დეკემბრის თვეში.

იმავე თვეებში აქვთ პრემიები აღებული დანარჩენ სამ მოადგილესაც, ჯამში მათ 2015 წელს 19 520 ლარი აქვთ აღებული. ხოლო ოთხივე მოადგილის პრემია ერთად 2015 წელს 26 445 ლარია. (ipress.ge)

## ბოლნისსა და მარნეულში „ნაციონალების" კანდიდატების წარდგენა ჩავარდა

ბოლნისსა და მარნეულში „ნაციონალურმა მოძრაობამ" მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა. ღონისძიებას პარტიის ხელმძღვანელობა დაესწრო, თუმცა, ადგილობრივ მოსახლეობას ინტერესი არ გამოუხატავს. ბოლნისის კულტურის სახლში სამირა ისმაილოვას წარდგენას 50-მდე მხარდამჭერი ესწრებოდა.

ვარაუდობენ, რომ ისმაილოვას მიმართ ელექტორატის დაბალი ინტერესი თავად კანდიდატის დაბალმა რეიტინგმა განაპირობა. ენმ-ს ხელმძღვანელობიდან ღონისძიებას დათო ბაქრაძე, ნიკა მელია, კობა ხაბაზი და ირმა ნადირაშვილი ესწრებოდნენ.

მხარდაჭერების მობილიზება „ნაციონალებმა" ვერც გარდაბანში შეძლეს რამინ ბაირამოვის წარდგენის დროს. ღონისძიება ჩავარდა ასევე მარნეულში აზერ სულეიმანოვისა და აკმამედ იმიმკულიევის (ასევე მარნეული) წარდგენის დროს. (primetimenews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რამდენი ცნობილი მსახიობიც ჩამოვა საქართველოში, აუცილებელია, ყველა საპატრიარქოში მივიდეს?"



ფონდი „ნატვრის ხე" იმ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის თანახმადაც, მსახიობმა სოფია ლორენმა კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. როგორც ფონდში განმარტეს, დაგვიანებული რეისით ჩამოსული 81 წლის მსახიობი თავს შეუძლოდ გრძნობდა.

– პირველ რიგში, მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ვინც ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად თუნდაც ერთი ლარი გაიღო.

გვსურს, გამოვეხმაუროთ რიგი მედიასაშულებებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მსოფლიო კინოვარსკვლავმა სოფია ლორენმა განაცხადა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს არ შეხვდებოდა.

ვაცხადებთ, რომ მსგავსი შინაარსის განცხადება სოფია ლორენს არ გაუკეთებია. მეტიც, მან ბოდიში მოიხადა დაგეგმილ შეხვედრაზე ვერმისვლის გამო. მსახიობი დილით, გამთენიისას, დაგვიანებით შესრულებული რეისით ჩამოფრინდა, რომელიც თითქმის 2 საათი ტურბულენტულ ზონაში იყო, რის გამოც სოფია ლორენი თავს შეუძლოდ გრძნობდა და მის უწმინდესობასთან შესახვედრად საპატრიარქოში მისვლა ვერ შეძლო, აღსანიშნავია, რომ მსახიობი 81 წლის არის.

ასევე, აღსანიშნავია, რომ პრემიერი პირადად მივიდა ვარსკვლავის მოსანახულებლად „რუმს ჰოტელში".

15 ივნისს, სოფია ლორენს ოპერაში, საპატრიარქოს წარმომადგენლები შეხვდნენ და მას პატრიარქის მიერ გაგზავნილი საჩუქარი - თამარ მეფის ჯვრის ანალოგი გადასცეს.

მსახიობმა საპატრიარქოს წარმომადგენლებს არშემდგარი შეხვედრის მიზეზი პირადად გააცნო და მის უწმინდესობას ბოდიში მოუხადა. სოფია ლორენის თქმით, ის აუცილებლად შეხვდება პატრიარქს სხვა დროს, რადგან მის შესახებ ბევრი სმენია და სურს, პირადად გაიცნოს.

მსახიობმა აღნიშნა, რომ პატრიარქის მიერ ნაჩუქარ ჯვარს დიდი სიყვარულით ატარებს.

გავრცელებული ინფორმაცია არის დეზინფორმაცია, რომელიც ფონდ „ნატვრის ხისა" და მისი უწმინდესობის იმიჯის შებღალვას ემსახურება, - ნათქვამია ფონდი მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (news.ge)

● **მოდით, რა, ასე დავიწყებ — სოფი ლორენი მართლაც საოცარი მსახიობია, შესანიშნავი ადამიანი, უსაზღვროდ ლამაზი ასაკის მიუხედავადაც კი, პატივსაცემი, მისაბაძი, მაგრამ...**

**ძალიან უხერხული სიტუაცია კი შეიქმნა და გამოხმაურებაც შესაბამისი ჰქონდა — სოციალური ქსელები ადუღდა უსიამოვნო კომენტარებით, მათი აქ მოყვანა ალბათ, შორს წაგვიყვანს, აი, ერთმა კი ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა:**

**„რამდენი ცნობილი მსახიობიც ჩამოვა საქართველოში, აუცილებელია, ყველა საპატრიარქოში მივიდეს?"**

## „უპრიანი იქნებოდა, ისიც დაგვეთვალა, პრემიერობის პერიოდში ბატონმა ივანიშვილმა რამდენი მილიონი გაისროლა ცაში"



საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადება, რომ საზოგადოებას აინტერესებს პარტია „ქართული ოცნება" იზიარებს თუ ემიჯნება ბიძინა ივანიშვილის ხედვებს სახელმწიფოს მართვის ფორმებთან დაკავშირებით, ექსპერტთა წრეებში გამოხმაურება მოჰყვა. სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ მარგველაშვილის მხრიდან რეაგირება მოსალოდნელი იყო ივანიშვილის იმ განცხადებებზე, რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბოლო პერიოდში კვლავ აკეთებს და რომელიც მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი თანხებს გადაჭარბებით ხარჯავს:

– თავისთავად, ის, რომ ერთმანეთზე ნერვები ეშლებათ ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და მის ფავორიტ საპრეზიდენტო პერსონას, რასაკვირველია, ვნებს მთლიანად ქართულ სახელმწიფოს. ბუნებრივია, პრეზიდენტი ბევრად უფრო თავშეკავებულია ამ თემაზე საუბრისას და როდესაც მერამდენედ უკვე ბატონმა ივანიშვილმა ბრალი დასდო მას, რომ იგი თურმე ათი ათას მილიონ ლარს, ჩვენ ჯიბეებში რომ უნდა გადმოსულიყო, უმიზნოდ ხარჯავს, პრეზიდენტი ასეთ ბრალდებაზე აუცილებლად გამოხატავდა რეაგირებას და უპრიანი იქნებოდა, ისიც დაგვეთვალა, პრემიერობის პერიოდში ბატონმა ივანიშვილმა რამდენი მილიონი გაისროლა ცაში სხვადასხვა პრემიისა თუ დანამატის სახელით, - აცხადებს ცისკარიშვილი. (პირველი რადიო)

# რაზე ისაუბრეს ბოკერიამ და მარგველაშვილმა დახურულ კარს მიღმა?

**გია ხუხაშვილი: „მერაბიშვილი იმიტომ კი არ ზის ციხეში, რომ დამნაშავეა, იმიტომ ზის, როგორც ჩანს, ვერ მოილაპარაკა ხელისუფლებასთან. რომ მოლაპარაკებულიყო, როგორც მურუსიძე, შეიძლება მერაბიშვილიც გვენახა დღეს მაღალ თანამდებობაზე და ბიძინა ივანიშვილს ისიც მსხვერპლად გამოეცხადებინა, მურუსიძის მსგავსად“**






ნინო სამხარაძე
599 71-14-22


პრეზიდენტი მარგველაშვილი გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს, გიგა ბოკერიას შეხვდა და „მეოცნებეებს“ კიდევ ერთი საბაბი მეცათ, ილაპარაკონ, რომ ის კვლავ ბიძინა ივანიშვილის დინების საწინააღმდეგოდ მიდის და ამის მიზეზად, ალბათ, იმას დაასახელებენ, რომ შეხვედრა დახურულ კარსმიღმა შედგა. რაზე უნდა ესაუბრათ ბოკერიას და მარგველაშვილს? ალბათ, ისინი ილაპარაკებდნენ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სადაც ვანო მერაბიშვილი წინასწარი პატიმრობის დროს პროკურორ ფარცხალაძის მიერ საკნიდან გაყვანისა და აღიარებითი ჩვენების მოთხოვნის გამო გაამართლა და საოცრებაა ის, რომ საქართველოს მოსახლეობას მოუწევს ჩვენი ამწიოკებლის, გამმათრახებლის 4000 ევროთი დაფინანსება. მოკლედ, ფაქტია, რომ სტრასბურგის სასამართლომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად არ ცნო, უბრალოდ, ერთ კონკრეტულ საქმეში გაამართლა. თუმცა არის მოლოდინი, რომ უფრო მკაცრი დასკვნა დაიდება გიგი უგულავას საქმეზე, შესაძლოა, ევროსასამართლომ მოითხოვოს უგულავას განთავისუფლება, თუკი ეს წინასაარჩევნოდ მოხდება, „ქართული ოცნებისთვის“ ეს იქნება უდიდესი დარტყმა და ცელის ყელში გამოსმა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეების გაზრდას გამოიწვევს, იმის შიშით, ემანდ ხელისუფლებაში არ მობრუნდეს და ადეიშვილმა თავისი მუქარა არ აასრულოს, ყველას ციხეში ჩაგყრით და ამოგალპობთ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ ჩვენებებს იძლეოდით და საჯაროდ ჩვენდამი ზიზღს აფრქვევდითო.

მოკლედ, რა ილაპარაკეს დახურულ კარსმიღმა, დეტალები არ ხმაურდება. პრეზიდენტის პრესსამსახური აცხადებს, რომ ბოკერიამ და მარგველაშვილმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ისაუბრეს. პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ კი განმარტა, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება არის სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი და პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ უნდა დადგეს ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი პირების, სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში, სამსახურებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ეს საქმე სათავეს იღებს ყოფილ პროკურორ ფარცხალაძიდან. იმ ხელისუფლებას რა ვუთხარი, პროკურორად კრიმინალში ბრალდებულს რომ დაგისვამს და ამის დამადასტურებელ დოკუმენტს გერმანიის სამართალდამცავი უწყება რომ წარმოგიდგენს. ეს კიდევ, ძალიან რბილი შეფასებაა ხელისუფლების მიმართ, აქ მხოლოდ უნიათობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ დამნაშავეებთან კოჰაბიტაციასთან.

პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის 16 ივნისი სკანდალური პოლიტიკური თარიღი აღმოჩნდა. თქვენს თავზეც გავიარეო და მიხეილ მაჭავარიანის ძმა, რომელიც უმისამართო წერილივით სხვადასხვა პარტიებში დადიოდა და ბოლოს, პაატა ბურჭულაძის პარტიაც ვერ იგუა, ეს „უმისამართო წერილი“ კვლავ პრეზიდენტს ჩაბარდა და ის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა საგარეო ურთიერთობების საკითხებში. გემახსოვრებათ, ის უკვე იყო პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩეველი. უმუშევრად დარჩენილი ვანო მაჭავარიანი მეგობარმა ისევ დაასაქმა ისე, რომ საკუთარ რეპუტაციაზე არ უფიქრია. ასეთ ტრაგიკომიკურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. აქვე შეგახსენებთ, რომ ვანო მაჭავარიანის პრეზიდენტის გუნდიდან წასვლის მიზეზი იყო ის, რომ გიორგი მარგველაშვილის პირველი ცოლისძმა, ბატონი აბაშიძე და მაჭავარიანი, ერთმანეთზე პოლიტიკურად ეჭვიანობდნენ. აბაშიძე თვლიდა, რომ ვანო მაჭავარიანი იყო „ნაციონალების“ შეგზავნილი აგენტი და მუდმივად აპროტესტებდა მაჭავარიანის გუნდში ყოფნას. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პრეზიდენტის კაბინეტში ერთმანეთს ისე წააყარეს, კინაღამ ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მივიდა საქმე და მაშინ იყო, პრეზიდენტმა ხმას აუწია, აქ ვინ გგონივართ, როგორ ბედავთ ჩემი თანდასწრებით ერთმანეთის შეურაცხყოფასო და მაჭავარიანი წავიდა.

როგორც ხედავთ პრეზიდენტი ყველა გზააბნეულსა და უმუშევრად დარჩენილს, გაუგებარი პოლიტიკური მრწამსისა თუ წარსულის მქონე ადამიანს ასაქმებს. ამის მრავალი მაგალითია, მათ შორის, ეკა მიშველაძის პრესსპიკერად დანიშვნის ფაქტიც ამაზე მეტყველებს. გამოდის, თითქოს მხოლოდ ესენი არიან ჭკვიანები და ბრენდები, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი არშემდგარი ადამიანია. ამიტომაც დავდივართ 25 წელია ერთ წრეზე, ვერ ვარღვევთ იმ მოჯადოებულ წრეს და ამიტომ არის, რომ ჩვენი გვირაბის ბოლოს სინათლე არ ჩანს. ბნელი წარსულის და აწმყოს მქონე ადამიანებმა შეუძლებელია, ნათელი მომავალი შექმნას.

**რას ფიქრობს ამ ყველაფერზე ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი?**

**— პრეზიდენტისა და „ნაცმოძრაობის“ ლიდერის გიგა ბოკერიას შეხვედრა დახურულ კარსმიღმა, ეხებოდა თუ არა ვანო მერაბიშვილისა და უგულავას ვადაზე ადრე განთავისუფლებას? პრეზიდენტს ხელთ აქვს შეწყალების ინსტრუმენტი და მას შეუძლია, ყველაზე სასტიკი დამნაშავეც კი შეიწყალოს და მისი გადაწყვეტილება გადახედვას არ ექვემდებარება.**

– დეტალურად არ ვიცი, რაზე ისაუბრეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ თემასაც შეეხებოდნენ. უნდა იცოდეთ, რომ ამ შეხვედრის ინიციატორი იყო „ნაციონალური მოძრაობა“, პრეზიდენტი საკუთარი სურვილით არც ერთ პარტიას არ ხვდება, თუმცა არც არავის ეუბნება უარს, ვინც მასთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამს. პრეზიდენტი არის ზეპარტიული ფიგურა და, ამ მხრივ, სწორად იქცევა. ბოკერია, ალბათ, ყველაფერზე ისაუბრებდა, კორცხელიდან დაწყებული, სტრასბურგის გადაწყვეტილებით დამთავრებული, თუმცა პრეზიდენტმა „ნაცმოძრაობას“ საჯაროდ გასცა პასუხი, არ აპირებს, შეიწყალოს დამნაშავეები. ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია „ნაცმოძრაობისთვის“ უგულავასა და მერაბიშვილის შეწყალება, მაგრამ ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ პრეზიდენტი ამ საკითხს არც კი განიხილავს.

**— პრეზიდენტი მოითხოვს, დაისაჯონ ის ადამიანები, ვინც ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფოს რეპუტაციას ზიანი მიაყენეს და დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობა, სამართლებრივი თუ პოლიტიკური. როგორ ფიქრობთ, დაისჯება ფარცხალაძე?**

– რა თქმა უნდა, უნდა დაისაჯონ. ხელისუფლება იქამდეც მივიდა, რომ სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილება გამარჯვებად გამოაცხადა. ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში უნდა აღეძრა საქმე და გამოეძიებინა, რასთან ჰქონდა იმ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე. თავისთავად ის, რომ დანაშაული დაიფარა და საქმე მიჩუმათდა, ეს უკვე კითხვის ნიშნებს აჩენს. მართალია, იმ პერიოდში იყო ფარცხალაძე და შესაძლოა, საქმე დაებლოკა, მაგრამ ამ ამბიდან რამდენიმე წელი გავიდა, შეიცვალა მთავარი პროკურორი და ეს ეპიზოდი რატომ არ იქნა გამოძიებული? საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიღეთ სახელმწიფოს ზიანი. შესაბამისად, ჩვენ ვსაუბრობთ, ვისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, ეს არის მთავარი პროკურორი, იუსტიციის მინისტრი და რა თქმა უნდა, მაშინდელი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე, რომელიც ეჭვმიტანილია ამ საქმეში და გამოძიებით დღემდე არ დადასტურებულა მისი უდანაშაულობა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პასუხისმგებლობა დგას და ეს არის ერთადერთი გამოსავალი, ევროსასამართლომ დაიჯეროს, რომ ამ ყველაფერში გარეული არ არის მთლიანად ხელისუფლება, არამედ არიან კონკრეტული ადამიანები, რომელთა უხარისხო და დანაშაულებრივმა მოქმედებებმა ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს. სირაქლემას პოზაში ჩადგომა, ეკრანზე სისულელეე-

გაგრძელება მე 7 გვერდზე

## რამდენად განსხვავდება ქალისა და კაცის ანაზღაურება სხვადასხვა სფეროებში საქართველოში



საქსტატის 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში საშუალო თვიური ანაზღაურება 913 ლარს შეადგენს. ყველაზე მაღალანაზღაურებად სფეროდ საფინანსო საქმიანობა ითვლება, სადაც საშუალო თვიური ანაზღაურება 1748 ლარია. საქართველოში ყველაზე დაბალი თვიური ანაზღაურება კვლავ განათლების სფეროშია და ის თვეში საშუალოდ 488 ლარს შეადგენს.

მამაკაცის საშუალო თვიური ანაზღაურება საქართველოში 1106 ლარია, ხოლო ქალის – 696 ლარი.

ქალისა და მამაკაცის საშუალო ანაზღაურება საქართველოში თითქმის ყველა სფეროში განსხვავდება:

საფინანსო სექტორი: ქალი - 1276 ლარი, კაცი - 2471 ლარი;

ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება: ქალი - 1111 ლარი, კაცი - 1100 ლარი;

სახელმწიფო მმართველობა: ქალი - 1236 ლარი, კაცი - 1358 ლარი;

მშენებლობა: ქალი -1010 ლარი, კაცი - 1389 ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა: ქალი - 751 ლარი, კაცი - 1173 ლარი;

განათლება: ქალი - 466 ლარი, კაცი - 566 ლარი;

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა: ქალი - 952 ლარი, კაცი - 1235 ლარი;

სასტუმროები და რესტორნები: ქალი - 565 ლარი, კაცი - 784 ლარი;

დამამუშავებელი მრეწველობა: ქალი - 551 ლარი, კაცი - 887 ლარი;

სოფლის მეურნეობა: ქალი - 492 ლარი, კაცი - 577 ლარი. (businesscontact.ge)

ეკონომიკა... ბიზნესი... ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...

## ლარი მცირედით გაუფასურდა



ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, 17 ივნისისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,1360 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2,1322 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0038 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,3953 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,3925 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0028 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## საქართველოში სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 16,2 პროცენტი უცხოურ ბაზარზე რეალიზდება



2015 წელს საქართველოში 59 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლსა (33,9%) და თბილისში (18,6%) იყო განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობების 13,6 პროცენტი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, 11,9 პროცენტი - კახეთში, 8,5 პროცენტი - იმერეთში, 10,2 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო დარჩენილი 3,4 პროცენტი - სხვა რეგიონებში.

2015 წლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 67,5 მილიონი ლარის ღირებულების (20,3 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (39,3%) იყო იმპორტირებული. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული იმპორტირებული პროდუქციის 41,6 პროცენტი მოდიოდა ხილსა და ბოსტნეულზე, 31,6 პროცენტი ხორცსა და ხორცპროდუქტებზე. სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 16,2 პროცენტი უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული (ხილი და ბოსტნეული). (businesscontact.ge)

აქ თქვენი რეკლამის ადგილია
577 44 44 42

## საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

**ქიმია (ბიოარაორგანული ქიმია):** 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

**ქიმია (ბიოორგანული ქიმია):** 1 ასოცირებული პროფესორი;

**ენდოკრინოლოგია:** 1 ასოცირებული პროფესორი;

**ზოგადი ქირურგია:** 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;

**ორთოპედია-ტრავმატოლოგია:** 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტი;

**რადიოლოგია:** 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;

**დერმატო-ვენეროლოგია:** 1 პროფესორი;

**თერაპიული სტომატოლოგია:** 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;

**ყბა-სახის ქირურგია:** 1 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტ-პროფესორი;

**სამართალმცოდნეობა:** 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

**სისხლის სამართალი:** 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

**კერძო სამართალი:** 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

**მენეჯმენტი:** 1 ასოცირებული პროფესორი;

**ტურიზმი:** 2 ასოცირებული პროფესორი;

**ეკონომიკა:** 1 პროფესორი; 1 ასოცირებული პროფესორი;

**ტელევიზიის დრამატურგია და რეჟისურა:** 1 ასოცირებული პროფესორი;

**მედიაძალადობა და მისი ფენომენი:** 1 ასოცირებული პროფესორი;

**აუდიო-ვიზუალურ საშუალებათა რეგულირების მექანიზმები:** 1 ასოცირებული პროფესორი;

**მედიასამართალი და თვითრეგულირება:** 1 ასოცირებული პროფესორი;

**საერთაშორისო ურთიერთობები:** 2 პროფესორი; 3 ასოცირებული პროფესორი; 2 ასისტენტ-პროფესორი.

**კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და წარმოადგინოს:**

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ანკეტა;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;

ე) უმაღლესი განათლების და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, ასევე, წარსადგენია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი);

ვ) ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე – ცნობა სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შესახებ;

ზ) 2 ფოტოსურათი 3X4-ზე.

**საბუთების მიღება განხორციელდება 2016 წლის 18 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 30 ივლისისა.**

**კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sdasu.edu.ge**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**

**ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ. №25; ტელ.: (995 32) 2 253 677; (995)577 57 60 50; (995) 577 57 60 65.**

## „დავივიწყოთ უკრაინის კონფლიქტი“ - პუტინი ევროკავშირთან ურთიერთობის აღდგენას ცდილობს



რუსეთის პრეზიდენტს ევროკავშირისთვის გზავნილი აქვს: დავივიწყოთ უკრაინის კონფლიქტი და თანამშრომლობა გავაგრძელოთ - „ბლუმბერგი“ რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობის შესაძლო დათბობის შესახებ სტატიას აქვეყნებს. სტატიაში ნათქვამია, რომ ვლადიმერ პუტინი სანკტ-პეტერბურგში გასამართ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმს მსოფლიოში ბუნებრივი აირის უდიდეს ექსპორტიორსა და უდიდეს სავაჭრო ბლოკს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის გამოიყენებს.

ეკონომიკურ ფორუმს იტალიის პრემიერ-მინისტრი, მატეო რენცი და ევროკომისიის პრეზიდენტი, ჟან-კლოდ იუნკერი დაესწრებიან. უკრაინის კონფლიქტის საპასუხოდ ევროკავშირმა და ამერიკამ რუსეთს სანქციები დაუწესეს, რამაც ქვეყნის ეკონომიკაზე მძიმედ იმოქმედა და ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი რეცესია გამოიწვია. სწორედ ამიტომ პუტინი გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვას ცდილობს. ევროკავშირის მიერ დაწესებულ სანქციებს ვადა 31 ივლისს ეწურება. ევროკავშირის ოფიციალური პირების განცხადებით, სანქციების 6 თვით გახანგრძლივებისათვის ერთსულოვანი გადაწყვეტილებებია საჭირო.

გერმანიამ 28 ქვეყნიანი ბლოკის მიერ სანქციების დაწესებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. თუმცა გასულ თვეში იყო საუბრები, რომ სანქციების დაწესება გერმანიას მილიარდობით ევრო დაუჯდა. ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტი იანვრიდან ბარაკ ობამა აღარ იქნება, რესპუბლიკელი კანდიდატი, დონალდ ტრამპი კი აცხადებს, რომ მას რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება საჭიროდ მიაჩნია.

„ბლუმბერგის“ კითხვაზე, გეგმავს თუ არა რუსეთი ამერიკასასა და მის მოკავშირეებთან ურთიერთობის დალაგებას, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა შემდეგი პასუხი გასცა: „ეს მისი მუდმივი მესიჯია!" იმის ფონზე, რომ ევროკავშირი რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით ინტერესდება, იუნკერმა „ჩრდილოეთის მილსადენის" პროექტის მოცულობის გაზრდაზე ისაუბრა - ესაა მილსადენი, რომლითაც გერმანიას რუსეთიდან ბუნებრივი აირი მიეწოდება. ფაქტია, რომ აღნიშნული მდგომარეობით შესაძლოა, გერმანიამ კარგად ისარგებლოს. (commersant.ge)

## 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი სფერო საქართველოში



საქსტატის 2016 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში საშუალო თვიური ანაზღაურება 913 ლარს შეადგენს.

ყველაზე მაღალანაზღაურებად სფეროდ საფინანსო საქმიანობა ითვლება, სადაც საშუალო თვიური ანაზღაურება 1748 ლარია. ასევე, მაღალანაზრაურებადი სფეროების სამეულში შედის მშენებლობის სფერო 1355 ლარით და სახელმწიფო მმართველობა 1323 ლარით.

1177 ლარით არის განსაზღვრული სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგი; ელექტროენერგიის, აირისა და წყლის განაწილების სფერო კი 1102 ლარით.

1164 ლარია საშუალო თვიური ანაზღაურება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში.

უძრავი ქონების ოპერაციების სფეროში საშუალო ანაზღაურება 1008 ლარია.

864 ლარით განისაზღვრა საშუალო ანაზღაურება ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში, ხოლო სოციალური მომსახურების გაწევის სფეროში კი 772 ლარით.

762 ლარია დამამუშავებელი მრეწველობის სფეროს საშუალო თვიური ანაზღაურება.

საქართველოში ყველაზე დაბალი თვიური ანაზღაურება კვლავ განათლების სფეროშია და ის თვეში საშუალოდ 488 ლარს შეადგენს. 652 ლარია საშუალო ანაზღაურება სასტუმროებისა და რესტორნების ჯგუფში. 560 ლარით განისაზღვრა სოფლის მეურნეობის დარგი. (businesscontact.ge)

აქ თქვენი რეკლამის ადგილია
577 44 44 42

ეკონომიკა... ბიზნესი... ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა...

## პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკა 3,2 პროცენტით გაიზრდება

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი განახლებულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს აქვეყნებს, რომლის მიხედვითაც, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკა 3,2 პროცენტით გაიზრდება. იგი 0,3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია საბიუჯეტო ოფისის მიერ 2016 წლის იანვარში გამოქვეყნებული პროგნოზის მაჩვენებელზე.

– აღნიშნული განსხვავება გამოიწვია საქართველოს ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებამ, რომელიც შეფასებულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2016 წლის აპრილში. ასევე, სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2015 წლის IV კვარტლის მშპ-ის მონაცემი უმნიშვნელოდ ნაკლები აღმოჩნდა საბიუჯეტო ოფისის მიერ გაკეთებულ შეფასებაზე, რამაც მცირე გავლენა მოახდინა მომავალი წლების ზრდის ტემპზე. 2017-2020 წწ. რეალური მშპ-ის საშუალო ზრდა 4,7 პროცენტს შეადგენს, რაც ნაკლებია ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებით წარმოდგენილ 5,5 პროცენტიან პროგნოზზე, - ნათქვამია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიმოხილვაში.



მიმოხილვის თანახმად, 2016 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი მოხმარებას ექნება. 3,2 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაში მოხმარების წვლილი 1,5 პროცენტული პუნქტი იქნება.

– რაც შეეხება, მთლიანი შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე, მოსალოდნელია, რომ იგი 2016 წელს 5,8 პროცენტით გაიზრდება და 9 208 ლარს შეადგენს. 2020 წლისათვის კი, მშპ-ის დონე ერთ სულ მოსახლეზე 13 380 ლარს (6 690 აშშ დოლარი) შეადგენს. აღნიშნული ითვალისწინებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მოსახლეობის აღწერის ახალი მონაცემების შესაბამისად, კორექტირებას 2003-2014 წლებისთვის, - ნათქვამია მიმოხილვაში.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2016 წელს საშუალო (სფი) ინფლაცია 4 პროცენტს შეადგენს, რაც ნაკლებია იანვარში გამოქვეყნებულ პროგნოზზე (5,2%). აღნიშნული შემცირება ძირითადად უკავშირდება ინფლაციური მოლოდინების შემცირებას. 2017-2020 წწ. საშუალო ინფლაციის პროგნოზი 4,3 პროცენტს შეადგენს.

2016 წელს მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლების 8,6 პროცენტიანი ზრდა, თუმცა საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მოსალოდნელია, რომ ბიუჯეტის დეფიციტი 1,1 პროცენტიდან 1,6 პროცენტამდე გაიზარდოს. ამასთანავე, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ფისკალური დეფიციტის მაჩვენებელი (რომელიც ეკონომიკური ანალიზისთვის აქტიურად გამოიყენება) 2016 წლისათვის 3,4 პროცენტს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ფისკალური სექტორის პროგნოზების მომზადებისას, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან მიმართებით, საბიუჯეტო ოფისი სრულიად ეყრდნობა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტით განსაზღვრულ მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდების გეგმას ხარჯვით პოლიტიკის მხრივ.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2016 წლისათვის მოსალოდნელი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის 11,8 პროცენტს, ხოლო ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული ანალოგიური მაჩვენებლის პროგნოზი მშპ-ის 11,0 პროცენტს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის საშუალო მოსალოდნელი მოცულობა მშპ-ის 10,0 პროცენტს უტოლდება.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2016 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 4,5 პროცენტიანი ზრდა და შესაბამისად მისი მოცულობა 2 636 მილიონ აშშ დოლარს (3,3 თვის იმპორტის ჯერადი), ხოლო 2017-2020 წლების საშუალო მოცულობა 3 351 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს (3,2 თვის იმპორტის ჯერადი). ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით, 2016 წლისათვის საერთაშორისო რეზერვები 3,0 პროცენტით იზრდება და 2 596 მილიონ ლარს შეადგენს (3,3 თვის იმპორტის ჯერადი). (commersant.ge)

## უკრაინა უარყოფს ინფორმაციას, თითქოს ევროპულ კავშირს მოუწოდა, უკრაინაზე ადრე საქართველოს ვიზალიბერალიზაცია არ მიეცეს



ევროპისა და ევროინტეგრაციის საკითხებში უკრაინის ვიცეპრემიერ ივანა კლიმპუშ-ცინცაძის ოფისი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც უკრაინამ ევროპულ კავშირს მოუწოდა, უკრაინაზე ადრე საქართველოს ვიზალიბერალიზაცია არ მისცეს. „უკრაინსკაია პრავდას" ინფორმაციით, ამის შესახებ ვიცეპრემიერის ოფისის „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზეა საუბარი.

– გასაგებია, რომ ასეთი თხოვნა ვერ იქნებოდა. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის საკითხები უნდა იხილებოდეს ცალ-ცალკე, - ნათქვამია განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ მომხსენებლისთვის უკვე განსაზღვრულია გამოსვლის დღე, რადგან ქართულმა მხარემ გაცილებით ადრე წარადგინა საკანონმდებლო წინადადება.

– ჩვენი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდეს მანამდე, ვიდრე ევროპულ ინსტიტუტებში არდადეგები დაიწყება, - ნათქვამია ინფორმაციაში.

გამოცემის ინფორმაციით, მედიამ „როიტერზე" დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ კიევი ევროკავშირს სთხოვს, საქართველოს ვიზალიბერალიზაცია უკრაინაზე ადრე არ მისცენ, რადგან ამან, შესაძლოა, ქვეყანაში პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს პოზიციები შეასუსტოს. (ინტერპრესნიუსი)

● **აპ, აპ, აპ, ამას როგორ იზამდა პოროშენკო, როგორ გეკადრებათ, ის ხომ ქართველებზე ასე ზრუნავს?! რომელ ქართველებზე და სააკაშვილზე, ადეიშვილზე... ააა, ეგენი ხო... გასაგებია, გასაგებია!..**

## „ქართული ოცნება" რა შუაშია, სიმონ, მაჟორიტარობა რომ გინდათ, ხალხმა უნდა დაგიჭიროთ მხარი, აპაა?!



– შესაძლებელია ყველაფერი მოხდეს და უარიც მივიღო ჩემს შეთავაზებაზე. თუმცა, არ ველი ასეთ გადაწყვეტილებას, ჩემი ერთგულება, გუნდურობა, მაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვა, მაჟორიტარობისთვის მიუღებელი კანდიდატი არ ვარ, - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ომარ ნიშნიანიძემ განაცხადა.

დეპუტატი არ მალავს სურვილს, იყოს ქუთაისის 47-ე ოლქის მაჟორიტარი. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ თუ მას პარტია არ დაუჭერს მხარს მაჟორიტარიც ვერ გახდება.

– მინდა 47-ე ოლქში ვიყარო კენჭი მაჟორიატარად. ეს არის ქუთაისის ერთ-ერთი ოლქი 3 ოლქიდან ე.წ. საფიჩხია-კახიანაურის ოლქი, რომელსაც მიამატეს თერჯოლის 3 თემი. ამაში მივიღებ მონაწილეობას, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების" სახელით. რა თქმა უნდა, თუ გაზიარებული იქნება ჩემი გუნდის მიერ. ჯერჯერობით ამაზე საბოლოო პასუხი არ მიმიღია, მაგრამ სურვილი მაქვს. პარტიულ სიას არ ვითხოვ. ვითხოვ, მომცენ ნება და უფლება, ვიბრძოლო ამ ოლქში გამარჯვებისათვის, - განაცხადა ნიშნიანიძემ.

შეგახსენებთ, საარჩევნო ცვლილებების შედეგად ქუთაისი 3 მაჟორიტარულ ოლქად გაიყო.

პარტია „ქართული ოცნება" წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას თვის ბოლომდე არ ჩქარობს. შესაბამისად, უცნობია მაჟორიტარობის კანდიდატების ვინაობაც.

როგორც პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებს, მაჟორიტარობის კანდიდატთა ვინაობა, 25 ივნისის შემდეგ გახდება ცნობილი. (ipress.ge)

## უხრწნელ ბიძინას ჯერ არ წაუკითხავს სტრასბურგის დასკვნა?



პარტია „იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილი „ფეისბუკში" ვანო მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ წერს:

– უხრწნელ ბიძინას ჯერ არ წაუკითხავს სტრასბურგის დასკვნა? ადაპტირებული სახით მიაწოდებენ, ალბათ, პილიგრიმები, ადვილად რო გაიგოს, - წერს სარიშვილი. (news.ge)

## „ღორის ტილს რომ ფეხზე დაისვამო..." — ოსურად როგორ ითარგმნება, ხომ არ იცით?!



– იმის გამო, რომ საქართველომ ლტოლვილების პრობლემის განხილვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დაიწყო, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ჟენევის დისკუსიების ფარგლებში შეუძლებელი იქნება, - ამის შესახებ სააგენტო „სპუტნიკს" ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალან კოჩიევმა განუცხადა.

– ჟენევის დისკუსიების წინა რაუნდში დაწყებული საქმე ქართული მხარის პოზიციამ ჩაშალა. მან გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების საკითხი კვლავ გაიტანა. ამის გამო ამ საკითხის განხილვა ჟენევის დისკუსიების ფორმატში შეუძლებელი ხდება, — ამბობს ალან კოჩიევი.

კოჩიევის თქმით, ქართული მხარე დევნილების პრობლემის რეალური მოგვარებით დაინტერესებული არ არის და აქედან პოლიტიკური და ეკონომიკური მოგების მიღებას ცდილობს. (kvira.ge)

## თურქეთმა ვიზალიბერალიზაციის მისაღებად ყველა პირობა არ შეასრულაო



– თურქეთმა ვიზალიბერალიზაციის მისაღებად ყველა პირობა ამ დრომდე არ შეასრულა, - ამის შესახებ ბრიუსელში ევროკომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა განაცხადა.

ევროკავშირის ანგარიშის თანახმად, ანკარამ არ შეასრულა ევროკომისიის მიერ შემუშავებული 72-დან 9 პირობა.

მათ შორის, თურქეთის ხელისუფლებას არ შეუცვლია ანტიტერორისტული კანონმდებლობა, რასაც ევროკავშირი დაჟინებით მოითხოვდა.

ევროკომისარ ავრამოპულოსის თქმით, ვიზალიბერალიზაციის შემოღება დამოკიდებულია როგორც თურქეთის ქმედებებზე, ისე ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის თანხმობაზე. (ინტერპრესნიუსი)

## „მემარცხენე ალიანსი" ვანო მერაბიშვილის, ნიკა გვარამიასა და შალვა ნათელაშვილის დაკითხვას ითხოვს



„მემარცხენე ალიანსის" ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი პოლიტპატიმარი და დევნილი არჩილ ბენიძე საქალაქო სასამართლოში ვანო მერაბიშვილის, ნიკა გვარამიასა და შალვა ნათელაშვილის დაკითხვას ითხოვს.

– 2008 წელს, როდესაც ვიყავი შალვა ნათელაშვილთან დაახლოებული პირი, „ლეიბორისტული პარტიის" გლდანის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოხდა ნათელაშვილსა და მერაბიშვილ-სააკაშვილს შორის გარიგება, რის შედეგადაც ნათელაშვილს უნდა გაეყვანა მინიმუმ 10 კაცი, რადგან მეათე ნომრად წარმოდგენილი იყო მისი მეუღლე, ბელა ალანია. ვანო მერაბიშვილმა ვერ შეასრულა დანაპირები და პარლამენტში „ლეიბორისტულ პარტიას" მხოლოდ 6 მანდატი ერგო. ამაზე განაწყენებულმა ნათელაშვილმა უარი განაცხადა პარლამენტში შესვლაზე, რაც 2008 წლის პარლამენტს ლეგიტიმაციას უკარგავდა. აღნიშნული გარიგება ვერ შედგა, ნათელაშვილმა დააპირა ვანო მერაბიშვილის „გადაგდება" და ბოიკოტი გამოუცხადა მაშინდელ პარლამენტს. სწორედ ამის მერე დაიწყო ჩემი დევნა, უკანონო პატიმრობა, რათა ნათელაშვილის წინააღმდეგ მიმეცა ჩვენება, რასაც ვერ მიაღწიეს. ამას მოჰყვა ჩემი 4-წლიანი ემიგრაცია, - ამბობს არჩილ ბენიძე.

„მემარცხენე ალიანსი" ირაკლი შოთაძისა და სამართალწარმოების პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის უფროსის, ი. ნადარეიშვილისგან მოითხოვს, რომ მოხდეს ზემოთ ხსენებული პირების უმოკლეს ვადაში პროკურატურაში დაბარება და აღნიშნულ საქმეზე დაკითხვა. (kvira.ge)

## არჩილ გამზარდია: უცნაურად მეჩვენება პრეზიდენტის ფლირტი „ნაციონალურ მოძრაობასთან"



– იმედია, ვცდები, თუმცა, შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ალმასრულებელი ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობას მიმართავს, — ამის შესახებ სოციალურ ქსელში ექსპერტი არჩილ გამზარდია წერს და პრეზიდენტის პრესსპიკერ ეკა მიშველაძის განცხადებას ეხმაურება.

– იმედია, ვცდები, თუმცა, შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ალმასრულებელი ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობას მიმართავს და მთავრობის, როგორც ინსტიტუციის დაკნინებას იზრახავს მიზნად. მართალი ვთქვა, მე, როგორც მოქალაქე გიორგი ვოლსკის კომენტარს დავეთანხმებოდი, რომელიც ფიქრია ჩიხრაძეს გაუწონასწორებლობასა და არაეთიკურობაში ადანაშაულებს. ასევე, უცნაურად მეჩვენება პრეზიდენტის ფლირტი „ნაციონალურ მოძრაობასთან", თუმცა ამ ეტაპზე შევიკავებ თავს კონკრეტული პოზიციისგან, — წერს გამზარდია „ფეისბუკზე".

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ უმრავლესობის დეპუტატ გია ვოლსკის განცხადება გააკრიტიკა და მას არაადეკვატური უწოდა. (kvira.ge)

## კვაჭანტირაძე გაბრაზებული ყოფილა



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი უკრაინის მთავარ პროკურორს არასერიოზულ პოლიტიკოსად აფასებს. ზვიად კვაჭანტირაძის თქმით, იური ლუცენკოს კომპეტენცია არ არის საქართველოს შიდა პოლიტიკური მოვლენების ანალიზი.

– ლუცენკო არის ერთ-ერთი ყველაზე არასერიოზული პოლიტიკოსი ჩემი თვალსაზრისით. მის განცხადებას აქვს ნულის ტოლი ფასი პირადად ჩემთვის და ჩვენი პოლიტიკური ძალისთვის. აბსოლუტურად მიუღებელი იყო და სწორედ ამიტომ ვაძლევ ასეთ შეფასებას მის ამ გამოხტომას. ეს არ იყო მეგობრული ნაბიჯი, ეს არ არის არც მისი კომპეტენცია და მე მას ვურჩევდი საკუთარ საქმეებს მიხედოს, - განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა გადაცემა „არჩევანში" განაცხადა, რომ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის დროს მისი დაპატიმრების, ასევე, ვანო მერაბიშვილის საქმეები პოლიტიკურად მოტივირებულია, მერაბიშვილი კი პოლიტპატიმრად მოიხსენია. (პირველი რადიო)

მესამე გვერდიდან

ბის ლაპარაკი და იმის თქმა, რომ ხელისუფლებამ გაიმარჯვა, არასერიოზულია და კიდევ უფრო ამძიმებს იმ მდგომარეობას, ამას სჭირდება დიდი მოხერხება, რომ სტრასბურგის სასამართლომ ვანო მერაბიშვილზე მოგცეს ასეთი შენიშვნა. იცით, რა თქვა სტრასბურგის სასამართლომ? პროკურატურის მაშინდელი ხელმძღვანელობა, რომელმაც ვანო მერაბიშვილი დააპატიმრა, მოიქცა სწორად და კანონიერად, ხოლო ფარცხალაძის პროკურატურამ დანაშაულის მთელი კასკადი ჩაატარა და ორი მუხლით მოხდა სტრასბურგის სასამართლოში განაჩენის გამოტანა. ფაქტობრივად, სტრასბურგის სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით მოგვანატრა არჩილ კბილაშვილი, იმ ფონზე, რაც დღეს ამ სისტემაში ხდება.

**— იმის ნაცვლად, რომ დაიკითხოს ყოფილი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე, რომელმაც უკანონობის კასკადი დააყენა, ჩვენ კვლავ ირაკლი ოქრუაშვილის გააქტიურებას ვხედავთ და ხელისუფლება მას იყენებს, როგორც „ოქროს მოწმეს“, თემების გადაფარვის მიზნით. ოქრუაშვილმა მერაბიშვილ-სააკაშვილი დაასმინა და თქვა, რომ ვალერი გელაშვილის ცემა შეუკვეთა სააკაშვილმა და შეასრულა მერაბიშვილმა. საინტერესოა, თავად ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც იმ სადისტური სისტემის შემოქმედი იყო, რატომ არ დაიკითხა პროკურატურის მიერ?**

– რა ჩვენებებსაც იძლევა ოქრუაშვილი, ამას იმ საქმეებთან, რაც სტრასბურგში იხილებოდა, შეხება არ აქვს. სტრასბურგის სასამართლო ხელისუფლებას იმას კი არ ედავება, რომ არასწორად დაიჭირა მერაბიშვილი, არამედ ედავება, რომ უკანონო გზებით ცდილობდნენ მერაბიშვილისგან ინფორმაციის მოპოვებას. რაც შეეხება ოქრუაშვილს, რა გითხრათ, აბა? ის იყო იმ რეჟიმის ერთ-ერთი ავტორი. რის გამოც ჩვენ ვაკრიტიკებდით „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებას და ფაქტობრივად, ვიყავით მათთან ომში, აი, იმ სისტემის ერთ-ერთი შემოქმედი იყო ირაკლი ოქრუაშვილი. შესაბამისად, მის სიტყვას ჩემთვის დიდი ფასი არა აქვს. რა მნიშვნელობა აქვს მის საუბარს, დღეს თუ ვანო მერაბიშვილზე საუბრობს, ხვალ ბიძინა ივანიშვილზე ილაპარაკებს. ხვალ ხელისუფლება რომ შეიცვალოს, ოქრუაშვილი იტყვის, ბიძინა ივანიშვილის დავალებით ვმოქმედებდიო. ასეთი კაცის სიტყვებს ჩემთვის ფასი არ აქვს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ სააკაშვილი ასეთი ტიპის დავალებების გამცემი იყო. თქვენ მეკითხებით, რატომ არ უჩნდება კითხვები ხელისუფლებას ოქრუაშვილის მისამართით... ამ ხელისუფლებას მურუსიძის მიმართ არა აქვს კითხვები და ოქრუაშვილთან რატომ უნდა გაუჩნდეს? მე ვფიქრობ, თუ მოელაპარაკებოდნენ, მერაბიშვილთანაც არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ ვერ მოელაპარაკნენ და იმიტომ აქვთ მის მიმართ კითხვები. ფაქტობრივად, მერაბიშვილი იმიტომ კი არ ზის დღეს ციხეში, რომ დამნაშავეა, ის იმიტომ ზის, როგორც ჩანს, ვერ მოილაპარაკა ხელისუფლებასთან.

ის რომ მოლაპარაკებულიყო, როგორც მურუსიძე, შეიძლება მერაბიშვილიც გვენახა დღეს მაღალ თანამდებობაზე და ბიძინა ივანიშვილს ისიც მსხვერპლად გამოეცხადებინა, მურუსიძის მსგავსად. ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ ჩვენი მსხვერპლები იქნებიან ბრალდებულები, ჩვენ ვართ მაზოხისტები და ჩვენ ვუკვეთდით ცემას.

**— როგორ ფიქრობთ, გიგი უგულავას საქმეზე რა დასკვნას დადებს ევროსასამართლო.**

– გიგი უგულავას საქმე უფრო მძიმეა, იქ დაირღვა 9-თვიანი ვადები და სამწუხაროდ, კარგს არაფერს ველოდები, მე მაინც ვფიქრობ, რომ ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია, არჩევნებამდე ეს საკითხები როგორმე გადააგოროს, რომ რაღაც ქმედებების ჩატარება არ მოუწიოს და იძულებული არ გახდეს, გაათავისუფლოს მერაბიშვილი და უგულავა, თორემ არჩევნების შემდეგ უგულავასა და მერაბიშვილის გამოშვება მაგათთვის არანაირი პრობლემა არ არის. ხელისუფლებას თუ უნდა, რომ ცოტათი მაინც სახე შეინარჩუნოს, ვიღაც მაინც უნდა დასაჯოს ამ საკითხის გამო.

**— როგორ აფასებთ ვანო მაჭავარიანის სკანდალურ წასვლას და უკან დაბრუნებას უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის პოსტზე?**

– ასეთი რაღაცები ხდება და განსაკუთრებულს აქ ვერაფერს ვხედავ. ასეც ხდება, რომ საკუთარ შეცდომას ადამიანი ინანიებს. პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ ვანო მაჭავარიანი იმსახურებს, მიეცეს მეორე შანსი. ამ გადაწყვეტილებას სკანდალურად არ განვიხილავ, მას გაცილებით მაღალი თანამდებობა ჰქონდა მანამდე, ვიდრე დღეს. ის მანამდე კურირებდა საგარეო მიმართულებას, ხოლო უშიშროების საბჭოს დღევანდელი სტატუსი მაინცდამაინც მაღალი არ არის.

**— უშიშროების საბჭოში სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციები იყრის თავს, რა გარანტია არსებობს, რომ მაჭავარიანი ამ ინფორმაციებს „ნაცმოძრაობას“ არ მიაწვდის?**

– ვფიქრობ, გადაჭარბებულია ვანო მაჭავარიანის ასეთი შეფასება, რომ ის „ნაცმოძრაობასთან“ ითანამშრომლებს და ინფორმაციას გაიტანს. პრეზიდენტსა და მაჭავარიანს ორმოცწლიანი მეგობრობა აკავშირებთ, აქედან გამომდინარე, ადამიანურმა ფაქტორმა განაპირობა ეს გადაწყვეტილება.

**— მაჭავარიანმა ფეხი ვერ მოიკიდა ბურჭულაძის პარტიაში და თქვენი ლოგიკიდან გამოდის, რომ პრეზიდენტმა მეგობარი დაასაქმა?**

– არ მინდა, დავაკნინო მაჭავარიანი, რადგან მას საკმაოდ კარგი კვალიფიკაცია აქვს, ის არის პროფესიონალი თავის საქმეში. კვალიფიციური კადრის და ადამიანური ფაქტორის კომბინაციამ განაპირობა მაჭავარიანის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დანიშვნა.



## ,,ერთპატრიულ მთავრობას დიქტატურისკენ თუ არა, ავტორიტარიზმისკენ მაინც მივყავართ“

ექსპრემიერი ივანიშვილი თვლის, რომ კოალიციური მთავრობა ქვეყნისთვის პრობლემა იქნება. რამდენად ეფექტური იყო კოალიციური მთავრობა, როგორც სახელმწიფო მართვის მოდელი, შეფასებისგან თავს იკავებს უმრავლესობა. მრეწველების ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ტყემალაძის განცხდებით, კოალიციური მთავრობა ვინმესთვის შეიძლება მიზანშეწონილი არ იყო, მაგრამ ქვეყანა კოალიციურ მთავრობას ვერ აცდება.

ანალიტიკოსები განმარტავენ, რომ როგორც წესი, კოალიცია ძალიან ხშირად, სუსტ და არასტაბილურ მთავრობებში გამოიხატება, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში 4 წლის განმავლობაში იყო წარმატებაც და წარუმატებლობაც. კოალიციის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი თვლის, რომ თუ ისევ შედგა კოალიციური მთავრობა, ქვეყანა ძალიან ბევრ პრობლემას მიიღებს.

„ასეთი მთავრობები ძირითადად რესურსების განაწილებაში არიან სათავისოდ და სერიოზული რეფორმები რჩება უყურადღებოდ. მე კოალიციური მთავრობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ასეთი ეკონომიკის და მცირე დაფინანსების პირობებში, როგორშიც ჩვენ ვართ, ძალიან რთული იქნება და შეუშლის ხელს საქართველოს სწორი მიმართულებით განვითარებას", – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კოალიციური მთავრობის არსებობის აუცილებლობაზე საუბრობს პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე, რომლის განცხადებით, მსგავსი სისტემა ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლეთის ქვეყნებში და სწორედ კოალიციური მთავრობის დამსახურებაა ადამიანის უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების მხრივ პროგრესის მიღწევა.

„ერთპარტიულმა მთავრობებმა და უმარვლესობებმა რაც მოგვიტანა, წინ გვიდევს მაგალითის სახით 25 წელია. პროგრესი, რომელიც დღეს მიღწეულია, როგორც ადამიანის უფლებების დაცვისა და სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით, გარკვეული წინსვლა დემოკრატიისკენ, ეს, სწორედ რომ, კოალიციური მთავრობის დამსახურებაა.

თუ ვინმეს ეს არ სჯერა, აუცილებელი არ არის დასავლეთში წასვლა, გადახედოს საქართველოს უახლეს ისტორიას და ნახავს, ერთპარტიულმა ხელისუფლებამ და მორჩილმა უმრავლესობამ რა ზიანი მოუტანა ქვეყანას, როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის მმართველოს დროს. რაც შეეხება ივანიშვილის განცხადებას, როგორც ჩანს, „სასინჯი ქვა“ გაუშვა მოსახლეობაში, თუ რა რეაქცია ექნება მოსახლეობას იმაზე, რაღაც-რაღაცები რომ ვერ გაკეთდა, თურმე ეს კოალიციური მთავრობის ბრალი ყოფილა", – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

იქნება თუ არა კოალიციური მთავრობა, ძაბირაძის განცხადებით, ეს დამოკიდებულია არა ივანიშვილის სურვილზე, არამედ იმაზე, რა შემადგენლობით იქნება პარლამენტში წარმოდგენილი ესა თუ ის პოლიტიკური ძალა. მისივე თქმით, დღეს ქვეყანაში შეცვლილია პოლიტიკური ვითარება და იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნები კანონიერების ფარგლებში ჩატარდება, მმართველ გუნდს გაუჭირება უმრავლესობის მიღება.

„დარწმუნებული ვარ, რომ დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით უმრავლესობას ვერ მიიღებს „ქართული ოცნება". ვნახოთ, როგორ განვითარდება ოქტომბრამდე პოლიტიკური მოვლენები, მაგრამ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შემთხვევაში, არ მგონია, რომ „ქართულმა ოცნებამ" შეძლოს უმრავესლობის მოპოვება.

კეთილი ინებოს ბატონმა ივანიშვილმა, რომელიც ამტკიცებს, რომ კარგი ანალიზის უნარი აქვს, გააკეთოს ანალიზი და გვითხრას რაში შეუშალა ხელი არსებულმა კოალიციურმა მთავრობამ, რომ უკეთესი შედეგი ყოფილიყო. ამიტომ, საუბარი იმაზე, რომ თუ მომავალში კოალიციური მთავრობა იქნება, რეფორმები შეჩერდება, სწორი არ არის. ერთპარტიულ მთავრობას დიქტატურისკენ თუ არა, ავტორიტარიზმისკენ მაინც მივყავართ. ამის მაგალითია ჩვენი მძიმე წარსული", – აღნიშნა ძაბირაძემ.

ყოფილი პრემიერის განცხადების პათოსს, რომ კოალიციური მთავრობა პრობლემა იქნება ქვეყნისთვის, იზიარებს მისივე ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი, რომლის განცხადებით, მოქმედი მთავრობა ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი ხედვით, რაც მთავრობას ერთიანობას აკარგვინებდა.

„კოალიციით მოსული და კოალიციის მმართველი ლიდერი, როდესაც ამას ლაპარაკობს, ეს ნაკლებად დამაჯერებელია და მისი მხრიდან ირიბი აღიარება იმისა, რომ კოალიცია არაეფექტურად მართავდა ქვეყანას. რაც შეეხება პოსტსაარჩევნო პერიოდში ფორმულირებულ კოალიციებს, ეს არ არის ხიფათი. ხიფათია მაშინ, როდესაც პარტიებს შორის არის მსოფლმხედველობითი სხვაობა. გარკვეულწილად, ამან შეიძლება ირიბი და არაპირდაპირი პრობლემები შექმნას ეკონომიკაში და ამ პათოსს გავიზიარებდი.

მაგრამ კონტრშეკითხვა მაქვს – რა რეფორმას ატარებს ხელისუფლება ეკონომიკაში? ერთი რეფორმა დამისახელოს ივანიშვილმა, რომელიც ამ ხელისუფლებამ ჩაატარა. პრობლემა სწორედ იმაშია, რომ არანაირი რეფორმა არ ჩატარებულა და არც აპირებენ ჩატარებას. საუბრობენ მოდელებზე, მაგრამ თავად რომ შექმნან ის მოდელი, რომელიც სჭირდება ამ ქვეყანას და ჩაატარონ სისტემური ცვლილებები, ამაზე არავინ არ ფიქრობს. ინერციით მიდიან, დინებას მიყვებიან და ვერ პასუხობენ გამოწვევებს, ეს არის მთავარი პრობლემა", – აღნიშნა ხუხაშვილმა. (for.ge)

## ფეხბურთის სამი რუსი გულშემატკივარი მარსელის სასამართლოს წინაშე წარსდგება



ფეხბურთის სამი რუსი გულშემატკივარი მარსელის სასამართლოს წინაშე წარსდგება. როგორც საფრანგეთის პროკურატურაში აცხადებენ, ყველა მათგანს ინგლისი-რუსეთის მატჩის შემდეგ, ქალაქ მარსელში მომხდარ არეულობაში მონაწილეობა ედება ბრალად.

კიდევ 19 რუს გულშემატკივარს, მათ შორის რუსეთის გულშემატკივართა გაერთიანების ხელმძღვანელ ალექსანდრ შპრიგინს უახლოეს დღეებში საფრანგეთიდან გააძევებენ.

რამდენიმე დღის წინ ქალაქ მარსელში რუს და ინგლისელ გულშემატკივრებს შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად ათობით ადამიანი დაშავდა, მოგვიანებით კი ერთი ადამიანი გარდაიცვალა. (ინტერპრესნიუსი)

## ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს გაახანგრძლივებს



ევროკავშირი რუსეთს სანქციებს კიდევ ერთი ვადით უგრძლებს. ამის შესახებ განცხადება ევროპული საბჭოს თავმჯდომარემ დონალდ ტუსკმა ფინეთის პრემიერ-მინისტრთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს გააკეთა.

– ვფიქრობ, სიტუაცია ნათელია. ევროკავშირი სანქციების საკითხს მინსკის შეთანხმებების განხორციელებას უკავშირებს, დარწმუნებული ვარ, რომ სანქციებს გავაგრძელებთ და ამ გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა, ევროპული საბჭოს შეკრებამდე მოხდეს, - განაცხადა დონალდ ტუსკმა. (ნიუპოსტი)

## ნიგერის უდაბნოში უწყლობისგან 34 მიგრანტი, მათ შორის 20 ბავშვი დაიღუპა

ნიგერის უდაბნოში 34 მიგრანტის ცხედარი აღმოაჩინეს, მათგან 20 ბავშვია, 5 მამაკაცი და 9 ქალი. მიგრანტები ნიგერის რესპუბლიკიდან ალჟირში გადასვლას ცდილობდნენ. ცხედრების აღმოჩენა 15 ივნისს მოხდა. ადგილობრივი სამართალდამცავების განცხადებით, მიგრანტები კონტრაბანდისტმა გამცილებლებმა მიატოვეს და ისინი სავარაუდოდ უწყლობის გამო დაიღუპნენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანიამ — „სითი პარკის“ პრობლემას მოვაგვარებთ, მაგრამ... ხალხის ხარჯზეო!



„სითი პარკის“ პრობლემა შესაძლოა, მოგვარდეს, მაგრამ ეს დაკავშირებული იქნება იმასთან, რომ ბიუჯეტიდან მინიმუმ 20—25 მილიონი ლარის გადახდა მოგვიწევს. ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ რადიო „კომერსანტის" გადაცემაში „კომერსანტის დროით" განაცხადა.

– ჩვენი წინამორბედების მიერ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტი არის ძალიან კაბალური, რომელიც აბსოლუტურად ერთი კომპანიის ინტერესებზეა მორგებული. შესაბამისად, ეს კომპანია უფრო მეტ შემოსავლებს იღებს, ვიდრე ქალაქის ბიუჯეტს რჩება და სხვას არ აქვს შესაძლებლობა, შევიდეს ამ ბიზნესში, — განაცხადა ნარმანიამ და აღნიშნა, რომ მერია ცდილობს, კონტრაქტში გონივრული ცვლილებები შეიტანოს. თუმცა ეს რთულია, რადგან, როგორც ნარმანია ამბობს, „როცა მერიას აქვს ხელი მოწერილი და მათი სამართალმემკვიდრე ჩვენ ვართ, ვერაფერს ვერ დავამტკიცებთ სასამართლოში. ამიტომ სასამართლოში წასვლას აზრი არ აქვს".

დავით ნარმანიას თქმით, „სითი პარკს“ ქალაქში არანაირი ინვესტიცია არ გაუკეთებია გარდა იმისა, რომ „იყიდეს საღებავი და დადგეს ნიშნები". სხვა რაიმე სერიოზული საინვესტიციო ვალდებულება კი არ ჰქონიათ.

– რაც ყველაზე მეტად სამარცხვინოა, ისაა, რომ „სითი პარკისთვის“ ტროტუარებზე პარკირების ადგილებიც კი გადაცემული აქვთ და შესაბამისად, ჩვენი მოქალაქეების ფეხით სასიარულო ადგილებზე დღეს ავტომობილები აყენია. როდესაც ჩვენ ქალაქის ხელისუფლებაში მოვედით, ასეთი 2 ათასზე მეტი ადგილი იყო. 500 ადგილი ჩამოვართვით „სითი პარკს“ და დავუბრუნეთ ფეხით მოსიარულეებს. ვგეგმავ, რომ ამ ზაფხულისთვის დანარჩენი 1500-იც ჩამოვართვათ და სექტემბრისთვის ქალაქის ტროტუარები გავათავისუფლო ავტომანქანებისგან. ეს, ბუნებრივია, ავტომობილების მფლობელთა გულისწყრომას გამოიწვევს: როცა ერთ კარგ საქმეს აკეთებ, იმას საპირისპირო უკმაყოფილება მოჰყვება, მაგრამ მინდა მოვუწოდო მძღოლებს, გაგებით მოეკიდონ ამას, რადგან ტროტუარზე მდგარი ავტომანქანა არის საფრთხე — როცა ავტომანქანები ტროტუარზე გადადგილდებიან და იქვე მოძრაობენ ფეხით მოსიარულეები, რა თქმა უნდა, ესაა მომეტებული რისკის ზონა. ჩვენ, როგორც ქვეყანა, ისე ქალაქი, დასავლური გზით მივდივართ და დასავლეთში უპირატესობა ენიჭება ადამიანს და არა ავტომობილს. მოვუწოდებ „სითი პარკს“, ალტერნატიული პარკირების ადგილები გააჩინოს, - განაცხადა ნარმანიამ. (commersant.ge)

● **ვაახ, ისევ ჩვენ უნდა მოვეკიდოთ გაგებით ჩვენსავე მიჭირხვნას, ამის დედა ვატირე?! „სითი პარკმა“ ხომ გაგვაწამა და მოგვშხამა და სანამ ამ პრობლემას მოაგვარებდეს მერია და ნარმანია, მძღოლების კისერზე უნდა გადაიაროს ყველაფერმა?!**

**ნეტა, არ დაინტერესებულხართ, მოსწონთ მძღოლებს ავტომობილის ტროტუარზე გაჩერება და გაბრაზებული ქვეითების ყურება? არა, ბატონო, ძალიანაც არ მოსწონთ, მაგრამ სად წავიდნენ, კაცო, ჯიბეში ჩაისვან მანქანა? ჰოდა, ჯერ რამე ალტერნატივა მოძებნეთ, ააშენეთ მიწისქვეშა და მრავალსართულიანი სადგომები, რასაც დაგვპირდით ეს ოხერი და მერე მოითხოვეთ გაგებით მოვეკიდოთო, გულთან ახლოს მივიტანოთო, ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთო და ეგეთი რამეები, რა!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რიგის მერმა საკუთარი ავტომობილი გაყიდა და სამსახურში ველოსიპედით დადის

ლატვიის დედაქალაქის მერმა ნილ უშაკოვმა Jeep Grand Cherokee SRT-ის მარკის ავტომობილი გაყიდა და სამსახურში სიარული ველოსიპედით დაიწყო. აღნიშნულის შესახებ ქალაქის მერი სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ პირად გვერდზე წერს.

უშაკოვის განმარტებით, ამჟამად ის კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ ველოსიპედით დადის და უკან იმავე სატრანსპორტო საშუალებით ბრუნდება. მალალჩინოსნის განცხადებით, საკუთარი ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები ქვეყნის საგზაო წესებს არ შეესაბამებოდა.

– რა თქმა უნდა, მე არ ვამბობ, რომ ველოსიპედი ჯიპზე უმჯობესია, მაგრამ ორბორბლიანი ტრანსპორტი ძალიან კარგია, - განაცხადა ქალაქის მერმა.

მისივე თქმით, ველოსიპედით სეირნობა განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან გადატვირთული სამუშაო რეჟიმის დასრულების შემდეგ ის თავის ტვინის ფუნქციონირებას უწყობს ხელს.



19 აპრილს კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ „ფეისბუკის“ პირად გვერდზე დაწერა, რომ სამსახურში ველოსიპედით ივლიდა. 21 აპრილიდან კი ის უკრაინის ქუჩებში ველოსიპედით გადაადგილდება. (ipress.ge)

● **პოპულისტობის სუნი რომ ასდის ამ ამბავს, გასაგებია, მაგრამ ჯანდაბას, მოტივაციისთვის, ხალხისთვის მაგალითის მიცემის თვალსაზრისით მაინც ღირს ასეთი ნაბიჯის გადადგმა, „ასეთია ჩქიმი უბეჟდენიე“...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქობულეთის გამგებელი შესაძლოა, სასამართლოში იძულებით მიიყვანონ



ქობულეთის გამგებელი სულხან ევგენიძე ბათუმის საქალაქო სასამართლოში შესაძლოა, იძულებით მიიყვანონ. საქმე ეხება ქობულეთის მუსლიმურ პანსიონში ღორის თავის მიკვრასთან დაკავშირებულ ინციდენტს.

მოსარჩელე მხარემ შუამდგომლობა დააყენა სულხან ევგენიძის მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე, თუმცა უკვე მეორე შემთხვევაა, ქობულეთის გამგებელი პროცესზე არ გამოცხადდა.

როგორც მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძემ განაცხადა, არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა სულხან ევგენიძის მხრიდან სასამართლოს მიმართ უპატივცემულო ქმედებაა და თუ მომდევნო პროცესზეც არ გამოცხადდება, დაჯარიმდება ან იძულებით მოხდება მისი სასამართლო პროცესზე მიყვანა. პროცესის მიმდინარეობის დროს მოსამართლის თანაშემწე სულხან ევგენიძეს დაუკავშირდა. თანაშემწის განცხადებით, ევგენიძე თბილისში გადაუდებელ საქმეზე მიდის, რის გამოც პროცესზე გამოცხადება ვერ მოახერხა.

მუსლიმური პანსიონის საქმის განხილვა 2014 წლიდან მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთში ტერორისტული დანაშაული საგრძნობლად გაიზარდაო



მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში, რუსეთში ტერორისტული დანაშაულის რაოდენობა წინა წლის ამავე მონაცემებთან შედარებით, საგანგაშოდ გაიზარდა.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საერთო ჯამში, პოლიციამ ტერორიზმის 1,035 შემთხვევა გამოავლინა. 2015 წლის იმავე პერიოდში ტერორისტული დანაშაულის 664 შემთხვევა დაფიქსირდა.

აღნიშნული მაჩვენებელი იანვრიდან-მაისის პერიოდთანაა შედარებული და წინა წლის მონაცემებს მნიშვნელოვნად აღემატება. კერძოდ, 2011 წელს, ანალოგიური დანაშაულის 622 შემთხვევა გამოვლინდა, 2012 წელს - 637, ხოლო 2013 წელს - 661. (ipress.ge)

## გიგა ოთხოზორიას მკვლელობის გამოძიების საკითხს ლავროვის უწყება ეხმაურება



რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდის შესახებ განცხადებას ავრცელებს, სადაც რუსი ოკუპანტის მიერ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის შესახებ არის საუბარი.

ლავროვის უწყების ინფორმაციით, შეხვედრის ფარგლებში გამოთქმული იქნა იმედი, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ჩაატარებს გამოძიებას „ნაციონალური კანონმდებლობის" სრული დაცვით და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციას გაავრცელებს ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ მოლაპარაკებებს სერიოზული ჩრდილი მიაყენა 7 ივნისს ლტოლვილების შესახებ გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციის პროექტმა, რომელიც ქართული მხარის მიერ იყო ინიცირებული.

განცხადებაში ასევე წერია, რომ „რეზოლუციის პროექტი პოლიტიზებული იყო და არ შეესაბამებოდა რეალურ ფაქტებს". (ნიუპოსტი)

# რას ნიშნავს „შავი კვარტეტი“, რის გამოც საქართველოს უვიზო მიმოსვლა გადაუვადეს?

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



„ქართული ლეგიონის“ ხელმძღვანელის მამუკა მამულაშვილის განცხადებით, აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს სოფელ დაბალცევოსთან სპეცოპერაცია ჩატარდა, რომელსაც პირობითი სახელი „გიგა“ ეწოდა, 19 მაისს სოფელ ხურჩაში ოკუპანტების მიერ მოკლული გიგა ოთხოზორიას პატივსაცემად. მამულაშვილის განცხადებით, შეტაკებისას განადგურებულია 12 რუსი სამხედრო მოსამსახურე, „ქართული ლეგიონის“ მხრიდან კი ორი ჯარისკაცი დაიჭრა:

„ქართულმა ლეგიონმა“ 12 ივნისს დებალცევოს მიდამოებში ჩაატარა სპეცოპერაცია „გიგა“. ბრძოლა მიმდინარეობდა 8-10 მეტრის მანძილზე, დადასტურებული ინფორმაციით, შეტაკებაში განადგურებულია 12 რუსი სამხედრო მოსამსახურე (ეს რასაც ადასტურებენ), საარტილერიო ცეცხლით საერთო ჯამში განადგურდა 40-მდე ოკუპანტი, ბრძოლაში მონაწილეობდა, ლეგიონთან ერთად, 25 მოტოქვეითი ბატალიონის მე-3 ასეული და არტილერია. 2 ქართველი ლეგიონერი დაჭრილია, ერთი მსუბუქად, მეორე ჰოსპიტალიზებულია კიევში. ოპერაცია დაიგეგმა გიგა ოთხოზორიას ცინიკური მკვლელობიდან მეორე დღეს!“ – წერს მამუკა მამულაშვილი.

**შეიძლება თუ არა ამას მოყვეს რუსეთის მხრიდან შურისძიება?**

**„ალიას“ უსაფრთხოების ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

**— თუ ეს ინფორმაცია სიმართლეა, მამულაშვილის ქმედება ადამიანური პოზიციიდან გასაგებია, მაგრამ ამას ხომ არ მოყვება რუსეთიდან რაიმე სახის საპირისპირო ქმედება?**

– დონბასის კონფლიქტი არის სხვა, აფხაზეთი სხვა ამბავია, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე, რუსეთის მხარე, მონაწილეობს ამ ორ არეალში. გასაგებია, „ქართულმა ლეგიონმა“ განახორციელა შურისძიების ოპერაცია და ეს შეიძლება ჩაითვალოს პიარად და პროპაგანდისტული სახის ქმედებად. როდესაც ჩემი თანამემამულე ასე მხეცურად და ცინიკურად იქნა მოკლული, მე, როგორც ქართველი, ბუნებრივია, ვიბოღმები, რომ ასეთ რამეს გვიბედავენ. თუმცა, ამან შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო ქმედება იგივე რუსი ოკუპანტების მხრიდან. დავანებოთ თავი ამ ფაქტის მიმართ ადამიანურ, პატრიოტულ მიდგომას და შეიძლება ეს სპეცოპერაცია კარგად დადგმული პროვოკაციაც იყოს, რადგან, ბუნებრივია, ამაზე რუსი ოკუპანტები თავიანთ ქმედებებს განახორციელებენ. ამან შეიძლება კიდევ უფრო მეტი დაძაბულობა გამოიწვიოს აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიის ფორმატში. ამ ვერსიის გამორიცხვაც არ შეიძლება.

**— პრემიერი კვირიკაშვილი უკვე ორი დღეა, გერმანიაშია. ანგელა მერკელმა დაგვაიმედა, ვიზალიბერალიზაციას აუცილებლად მიიღებთო, მაგრამ არც ერთ მხარეს არ დაუკონკრეტებია, რატომ იწელება პროცესი. მიზეზად მხოლოდ ევროპაში არსებულ მიგრაციულ კრიზისს ასახელებენ. თქვენ არაერთ ევროპელ კოლეგასთან გაქვთ კავშირი და მათგან თუ გაქვთ ინფორმაცია, რეალურად რატომ გაიჭიმა დროში ეს საკითხი?**

– ამაზე თქვენც გეწერათ და მინდა „ალიას“ მკითხველი კიდევ ერთხელ დავარწმუნო, რომ ატეხილი აჟიოტაჟი ქართველ კრიმინალებზე, ტყუილია, გერმანიაში ქართული კრიმინალური ჯგუფების გავლენა ძალიან მცირეა და საერთოდ, ნულის დონეზეა დაყვანილი. ამას წინათ გერმანიაში ვიყავი და ევროპის საკმაოდ ხანგრძლივი ტურნე მქონდა, ახლაც მივდივარ ივლისის პერიოდში და თუ საუბარია ქართველ კანონიერ ქურდებზე და ქართულ კრიმინალურ სინდიკატზე, გერმანიას ეს არ ეხება, ეს შემიძლია პირდაპირ გითხრათ. იქ შეიძლება იყოს ეპიზოდური ქმედებები, მაგრამ ორგანიზებული ქმედებები, რასაც შეიძლება ქართული კრიმინალური სინდიკატი დავარქვათ, ასეთი არ არსებობს. მიგრანტების საკითხი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს არაა საქართველოს შემთხვევაში მთავარი. საერთოდ, გერმანიის ერთგვარი მიდგომაა, რომ, ზოგადად, მოახდინოს გარკვეულწილად შეფერხება თუნდაც იგივე ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკის განვითარებისა, რადგან მას ძალიან დიდი პრობლემები აქვს და დიდი დარტყმა მიიღო სირიიდან წამოსული არალეგალური მიგრანტებისგან. გერმანიაში დღეს არის საკმაოდ რთული შიდაპოლიტიკური ვითარება, არის საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც უნდა განსაზღვროს, რომელი პოლიტიკური ძალა იქნება შემდეგი ხუთი წელი მმართველი. ამიტომ გერმანიაში ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს, ზედმეტი თავის ტკივილი აირიდოს. ჩვენი ვიზალიბერალიზაციის საკითხი, სამწუხაროდ, დაემთხვა იმას, როცა გერმანიაში დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, ამას დავუმატოთ სირიიდან არალეგალური მიგრანტების თემა, მით უმეტეს, ეს უკანასკნელი საკითხი გარკვეულწილად ტერორიზმის საფრთხეებსაც აჩენს. ამ დროს ვიზალიბერალიზაციას სულ ოთხი ქვეყანა ელოდება – საქართველო, კოსოვო, უკრაინა და თურქეთი. ეს არის სწორედ საინტერესო: ვიზალიბერალიზაციის არმონიჭების საკითხი საქართველოს კი არა, კოსოვოს ეხება, რომელიც არის მთავარი კრიმინალური ბუდე და ფაქტობრივად, ალბანური კრიმინალური სისტემა აკონტროლებს გერმანიაში არსებულ კრიმინალს და არა ქართული; გარკვეულწილად ეხება უკრაინას, რადგან სწორედ იქიდან ხდება დიდი რაოდენობით მიგრანტების შესვლა და პოლიტიკური კრიზისი აშკარაა; და ამასთანავე, არ დაგვავიწყდეს გერმანიის თურქეთთან გართულებული ურთიერთობა, განსაკუთრებით სომხეთის გენოციდის ცნობის შემდეგ. გერმანელებმა თურქეთს, ფაქტობრივად, უკვე კარი მიუხურეს და ვიზალიბერალიზაციის საკითხი თურქეთთან, შეიძლება, დაიხურა კიდეც; და ამ დროს საქართველო, რომელიც მართლა ასრულებს იმ მოთხოვნებს, რომელიც ვიზალიბერალიზაციის პოლიტიკისა და ასოცირების ხელშეკრულების პირობებს ეხება, სამწუხაროდ, მოვხვდით აი, ამ „კალათაში“, „შავ კვარტეტში“, სადაც შედის კოსოვო, უკრაინა და თურქეთი. სამწუხაროდ, საქართველომ ვერ მოახერხა, რომ განცალკევებულიყო ამ გეოპოლიტიკურად მოწყვლადი სამეულისგან, რომ ჩვენი საკითხი ცალკე განხილულიყო. აი, ამაშია ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ზოგადად, სახელმწიფოს შეცდომა. ბუნებრივია, საქართველოს რომ მისცენ ახლა ვიზალიბერალიზაციის კუთხით გარკვეული პრეფერენციები, მაშინ გამოდის, რომ ეს პრეფერენციები დანარჩენ სამ აქტორსაც უნდა მისცენ, რომლებსაც სერიოზული წინააღმდეგობის ცენტრები გაუჩნდა ევროკავშირის შიგნით.

**— გამოდის, ასეთ რთულ ვითარებაში მოხვედრილი საქართველო ვიზალიბერალიზაციას წელსაც ვერ მიიღებს?**

– მე მგონი, ევროკავშირი ახლა ცდილობს, საქართველო როგორმე ცალკე გამოყოს და ვიზალიბერალიზაციის საკითხი დეკემბერში მაინც გადაწყვიტოს. ამას ჩვენს ნაცვლად ცდილობს, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ თავისი უნიათობისა თუ უნებლიე შეცდომის გამო, ამის გაკეთებას თავი ვერ მოაბა.

**— კიდევ ერთ საკითხი. სტრასბურგის სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილზე გამოქვეყნებულ დასკვნას მხოლოდ ორი უცხოელი დიპლომატი გამოეხმაურა, ამერიკის და ევროკავშირის ელჩები. მსგავს სიტუაციებში, სხვა დროს, ერთმანეთს ასწრებდნენ ხოლმე კომენტარებს. ახლა რა ხდება?**

– სტრასბურგის სასამართლოს დასკვნაში წერია, რომ ვანო მერაბიშვილის მიმართ, წინაპატიმრობის პერიოდში, გამოყენებული იყო უხეში მოპყრობა, გაყვანის ეპიზოდზეა საუბარი და ამაზე დაობენ, თორემ არავინ დაობს იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი ან უსამართლო სასამართლოს მსხვერპლი გახდა, ან მისი დაკავება რამე პოლიტიკურ ინსინუაციებს უკავშირდება.

მინდა, ანალოგი მოგიყვანოთ: 1946 წელს, როდესაც ნიურნბერგის სასამართლომ განიხილა ნაცისტი დამნაშავეების საქმეები, მოხდა ასეთი რამ: გერმან გერინგს იქაური ბადრაგი უდიერად მოეპყრო, მგონი, ბადრაგის მეთაურმა მას ხელი ჰკრა, გერინგი წაიქცა და თუ არ ვცდები, შუბლი გაიტეხა. გერინგის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ასეთი რაღაც მოხდა და სხვათა შორის, საერთაშორისო ტრიბუნალმა ეს საკითხი განიხილა, ბადრაგი დასაჯა და გერინგს კომპენსაციაც კი გადაუხადეს, ანუ ის კარგ კლინიკაში მოათავსეს, ბოდიშიც მოუხადეს და ასე შემდეგ, მაგრამ ამის შემდეგ, გერმან გერინგი ჩამოხრჩობას ვერ გადარჩა იმ დანაშაულის გამო, რაც მან ჩაიდინა. ფაქტობრივად, შეგვიძლია, გერინგის ქეისი მოვიყვანოთ ვანო მერაბიშვილთან მიმართებაში. ბუნებრივია, როდესაც შენ აპატიმრებ ნაცისტ თუ ნაცდამნაშავეს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინაშე და შექმნა ავტორიტარული ტიპის სისხლიანი რეჟიმი, შენ არ უნდა მოეპყრო მას ისე, თუნდაც უდიერად, როგორც ის გეპყრობოდა შენ, სწორედ ეს იწვევს შემდეგ გარკვეულ კრიტიკულ სამართლებრივ შეფასებებს იგივე უცხოეთის მხრიდან. ალბათ, სხვა ელჩები ჩვენი ხელისუფლების ქმედებებს დაელოდებიან ჯერ ამ დასკვნასთან დაკავშირებით, თორემ მერაბიშვილი რომ ციხეშია, მე ძალიან მიხარია, რადგან სამართალმა პური მართლა ჭამა და ასეთი ჯალათები და ნაძირალები, როგორიც მერაბიშვილი და სხვები არიან, არა მარტო ციხეში უნდა იყვნენ, არამედ, როგორც გერინგი ჩამოახრჩვეს, ისე უნდა ჩამოახრჩო. შეგიძლიათ, პირდაპირ ასე დაწეროთ.

## შვეიცარიამ ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარი განაცხადა



შვეიცარიის პარლამენტის ზედა პალატამ მხარი დაუჭირა ჯერ კიდევ 1992 წელს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ შესული განცხადების უკან გატანას.

აღნიშნულ ინფორმაციას გამოცემა Neue Zürcher Zeitung ავრცელებს.

გამოცემის განმარტებით, შვეიცარიელი დეპუტატების დიდი ნაწილი განაცხადის გატანას მიემხრო. ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგ ხმა 27-მა დეპუტატმა მისცა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სიმბოლური ხასიათისა, რადგან განცხადებამ შვეიცარიის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ ძალა დაკარგა.

ჩატარებულ რეფერენდუმზე შვეიცარიის მოსახლეობამ ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარი განაცხადა. (pia.ge)

## ხმელთაშუა ზღვაში EgyptAir-ის კუთვნილი ავიალაინერის შავი ყუთი აღმოაჩინეს



ხმელთაშუა ზღვაში ავიაკომპანია EgyptAir-ის კუთვნილი ავიალაინერის შავი ყუთი აღმოაჩინეს. როგორც დასავლური მედია იტყობინება, ჩამწერი აპარატი დაზიანებულია, თუმცა სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მისი საშუალებით კატასტროფის მიზეზების დადგენას მაინც შეძლებენ.

სამგზავრო ლაინერი A320, რომელიც რეისს პარიზიდან კაიროში ასრულებდა, რადარებიდან 19 მაისს გაქრა. ბორტზე 66 მგზავრი და ეკიპაჟის წევრი იმყოფებოდა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავმა კატასტროფა ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიიდან 290 კილომეტრში განიცადა.

კატასტროფის გამომწვევი მიზეზი ამ დრომდე უცნობია. (ინტერპრესნიუსი)

## 70 წლამდე მამაკაცი ჩამომხრჩვალი იპოვეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფარცხმაში 70 წლამდე მამაკაცი ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ტრაგიკული შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა.

შსს-ს გამ,არტებით, მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „როცა ჩემგან ინტერვიუს იღებენ, ქიმიის გაკვეთილზე მგონია თავი“



– როცა ჩემგან ინტერვიუს იღებენ, ქიმიის გაკვეთილზე მგონია თავი, მასწავლებელმა ყველაფერი რომ იცის და შენ, როგორც მოსწავლეს, ფორმულის დასახელებას გთხოვს, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

– ქართველებს ძალიან აინტერესებს მასმედია და პოლიტიკა, მასმედია უყვართ და პოლიტიკოსები ეზიზღებათ. უყვართ რეპორტიორები და კითხვები, რომლებსაც ისინი სვამენ. მათ ვეზიზღებით ჩვენ, პოლიტიკოსები, მაგრამ საზოგადოება პოლიტიზებულია. მე ყოველთვის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი იმ დონით, რომელიც საქართველოს მასმედიაში არის. როგორ მუშაობს, როგორ ფუნქციონირებს, რამდენად კარგად არიან განათლებული ჟურნალისტები. რამდენად კარგად ემზადებიან ინტერვიუსთვის. როცა ინტერვიუს იღებენ ჩემგან, თითქოს სკოლის მოსწავლე ვარ, ქიმიის გაკვეთილზე ვაბარებ გაკვეთილს, მასწავლებელმა ყველაფერი იცის და მერე შენ, როგორც მოსწავლეს გთხოვს ფურმულის დასახელებას. შენ იძაბები თუ რთული კითხვები ისმის. მე ყოველთვის განცვიფრებული ვარ, რამდენად კარგად იცნობენ ჟურნალისტები იმ საკითხებს, რომელზეც საუბარია. გაცილებით მომზადებული არიან, ვიდრე მე. როცა ინტერვიუ სრულდება და მივდივარ, შთაბეჭდილება მიმყვება, - აღნიშნა მარგველაშვილმა. (პირველი რადიო)

● **დაასხა — დალია! გმადლობთ კომპლიმენტებისთვის, ბატონო პრეზიდენტო, უკვე მიღწევაა, კვლავ ჭკუის რიგებას რომ არ ვიგებთ ჟურნალისტების მიმართ, მაგრამ სულ სხვა რამეა საინტერესო: არ დაგისვამთ კითხვა საკუთარი თავისთვის — რატომ ეზიზღებათ ქართველებს პოლიტიკოსები? სანამ თავად გასცემთ ამ კითხვაზე პასუხს, ცოტათი წაგეხმარებით:**

**— ყველა პოლიტიკოსი იტყუება, - „ეტა რაზ“!**

**— ყველა პოლიტიკოსი, როგორც კი თავს თანამდებობაზე დაიგულებს, ივიწყებს დაპირებებს, - „ეტა დვა“!**

**— ყველა პოლიტიკოსს ხალხი ახსენდება მხოლოდ მაშინ, როცა არჩევნები ახლოვდება, დროის დანარჩენ პერიოდში უბრალოდ, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია - „ეტა ტრი“!..**

**კიდევ შეიძლება გაგრძელება, უსასრულოდ გაგრძელება, მაგრამ რა აზრი აქვს, შეიცვლებიან ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც მილიონების შოვნაზე ოცნებობენ, ძილშიც ფულებს ხედავენ, ქვეყნისთვის კი არაფერს აკეთებენ? არა!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მაგდა პაპიძე ბოლო პერიოდში ეშმაკებზე ვიდეოებს უყურებდა“ - მოწმე

თბილისის საქალაქო სასამართლოში შვილისა და ქმრის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის სასამართლო პროცესი მეზობლების დაკითხვით გაგრძელდა. პაპიძეს მეზობლები უარყოფითად ახასიათებენ და მკვლელობის ღამეს მის ქმედებას აღწერენ.

ერთ-ერთი მოწმის განცხადებით, პაპიძე ბოლო პერიოდში ეშმაკებზე ვიდეოებს უყურებდა.

– მთელი ღამე ვერ დავიძინე, თავი მტკიოდაო. ტელეფონის საშუალებით მეც მაჩვენა, კედელზე ჩრდილი დადიოდა. მაგდამ მითხრა, ვერ დავიძინე, ფანჯრებს ვუყურებდი, ჩემთანაც რამე არ შემოიპაროსო, - აღნიშნა ია ბარამიძემ.

მისივე განცხადებით, მაგდა პაპიძეს მეორე შვილის გაჩენის სურვილი არასდროს ჰქონია.

– მაგდას შვილი სასტიკად არ უნდოდა, დიაბეტი მაქვსო და ერთის გაჩენას სიცოცხლე შევწირეო. ქუჩაში ორსულსაც რომ ვხედავ, ეკლები მაყრის, ცუდად ვხდებიო, იმხელა ტრავმა დამიტოვა ირსულობამო, - ასე ამბობდა მაგდა, რომელმაც ომარის დაუკითხავად აბორტიც გაიკეთა. ტყუპებზე იყო ორსულად და აბორტის გასაკეთებლად იყო წასული. დარეჯანთან მივედი, ბავშვი კალთაში ეჯდა და ტიროდა, მაგდამ ბავშვი დამიტოვა და აბორტის გასაკეთებლად წავიდაო, ომარმა არ იცისო, - განაცხადა მოწმემ.

ია ბარამიძე ბრალდებულის დის სიტყვებსაც იხსენებს:



– ლანას დიდად არ გაკვირვებია მაგდას მიერ ამის გაკეთება. თქვა, საყვარელიც ჰყოლიაო, - თქვა მოწმემ.

სასამართლოზე ჩვენება კიდევ ერთმა მეზობელმა მისცა. ნანა ტუხაშვილმა მკვლელობის დღეს მაგდა პაპიძესთან დიალოგი გაიხსენა:

– სამსახურიდან სახლში საღამოს 7 საათზე მივედი, დერეფანში მაგდა შემხვდა. კარადა ჰქონდა გახსნილი. რომ დამინახა, შეცბა, თვალები გაუფართოვდა. მე ვთხოვე თმები შეეღება ჩემთვის, არაა პრობლემაო, რომ ველაპარაკებოდი სხვაგან იყო ფიქრებით. ცოტა ხანში მივწერე, მაგდა, თმას შემიღებავ-თქო? არ მომწერა, მერე დავურეკე და არ მიპასუხა, გამითიშა, მომწერა სმს, რომ სახლში არ ვარ და 1 საათში დავბრუნდები და შეგიღებავო, - აღნიშნა ტუხაშვილმა.

ტუხაშვილი მაგდა პაპიძის დის რეაქციასაც იხსენებს:

– ლილი, რასაც ვფიქრობ ეგ არისო, მაგდამ დახოცაო? - კიო, ლილიმ უთხრა. არ ვაცოცხლებო, ჩემი ხელით დავწვავო, თქვა ლანამ, - განაცხადა მოწმემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ტყვია ყურში აქვს მოხვედრილი“ - გარდაცვლილი ბიზნესმენის ძმა




ბათუმში გარდაცვლილი ბიზნესმენის, ალიკა დავითაძის ძმა თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს და აცხადებს, რომ მის ძმას ტყვია ყურში აქვს ნასროლი.

– გარეთ იჯდა მაღაზიასთან. მარჯვენა თვალით ვერ ხედავდა. ტყვია ყურში აქვს ნასროლი, - აღნიშნა მურად დავითაძემ.

ბიზნესმენი რამდენიმე დღის წინ ბათუმში, საკუთარი სახლის წინ, მაღაზიის გვერდით ოჯახის ახლობელმა იპოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ალიკა დავითაძე აჭარაში სხვადასხვა ბიზნესს ფლობდა. დავითაძე წინა ხელისუფლების დროს იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით 5 წელი ციხეშიც იჯდა.

გარდაცვლილს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა, თუმცა ექსპერტიზის დასკვნა მოგვიანებით გახდება ცნობილი. (ნიუპოსტი)

## სპეცოპერაცია „გიგა“ შეტაკებაში განადგურებულია 12 რუსი სამხედრო






ქართული ლეგიონის ხელმძღვანელ მამუკა მამულაშვილის განცხადებით, აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს სოფელ დაბალცევოსთან სპეცოპერაცია ჩატარდა, რომელსაც პირობითი სახელი „გიგა“ 19 მაისს სოფელ ხურჩაში ოკუპანტების მიერ მოკლული გიოგა ოთხოზორიას საპატივსაცემოდ ეწოდა. მამულაშვილის განცხადებით, შეტაკებისას განადგურებულია 12 რუსი სამხედრო მოსამსახურე, ქართული ლეგიონის მხრიდან კი ორი ჯარისკაცი დაიჭრა:

– ქართულმა ლეგიონმა 12 ივნისს დებალცევოს მიდამოებში ჩაატარა სპეცოპერაცია „გიგა“. ბრძოლა მიმდინარეობდა 8-10 მეტრის მანძილზე. დადასტურებული ინფორმაციით, შეტაკებაში განადგურებულია 12 რუსი სამხედრო მოსამსახურე (ეს რასაც ადასტურებენ), საარტილერიო ცეცხლით საერთო ჯამში განადგურდა 40-მდე ოკუპანტი. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ლეგიონთან ერთად 25-ე მოტოქვეითი ბატალიონის მე-3 ასეული და არტილერია. 2 ქართველი ლეგიონერი დაჭრილია, ერთი მსუბუქად მეორე ჰოსპიტალიზებულია კიევში. ოპერაცია დაიგეგმა გიგა ოთხოზორიას ცინიკური მკვლელობიდან მეორე დღეს! - წერს მამუკა მამულაშვილი. (ნიუპოსტი)

## ვანო მაჭავარიანი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა



პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი, ექსპერტი ვანო მაჭავარიანი უშიშროების საბჭოს მდივან ირინე იმერლიშვილის მოადგილედ დაინიშნა. ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა.

– ვანო მაჭავარიანი კურირებას გაუწევს საერთაშორისო ურთიერთობებს. მას აქვს 25-წლიანი გამოცდილება დიპლომატიურ ურთიერთობებში და ასევე, უსაფრთხოების საკითხებში, რაც ჩვენი აზრით, ძალიან წაადგება პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და უშიშროების საბჭოს საქმიანობას ამ მიმართულებით, - განაცხადა ეკა მიშველაძემ. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ გადაწყვიტა გია კორკოტაშვილმა კენჭისყრა თემქაზე და რა შეუთვალა „ალიასთან“ საუბარში თავის „მეოცნებე“ მეგობრებს?


მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19






საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობმა თბილისის კოლორიტმა და უკვე პოლიტიკური პარტიის „ჩვენი სამშობლოსთვის“ სახემ, გია კორკოტაშვილმა პარლამენტში შესვლისთვის ბრძოლა თემქის მაჟორიტარული ოლქიდან გადაწყვიტა. ძირძველმა თბილისელმა თბილისის შედარებით ახალ უბანში კენჭისყრის გადაწყვეტილება ნახევრად ხუმრობით საარჩევნო რაიონის ზღვასთან სიახლოვით ახსნა და თუ არჩევნებს წავაგებ, ზღვა იქვეა და თავს დავიღრჩობო. **გაუხდება თუ არა დასახრჩობად თავი? რას დაჰპირდება ამომრჩეველს? რა შეუთვალა თავის მეგობრებს „ოცნებიდან“?**

**„ალია“ გია კორკოტაშვილს ესაუბრა:**

**— ბატონო გია, ისე თამამად განაცხადეთ, თუ წავაგებ, თავს დავიხრჩობო, ასე დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში? გასაგებია, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი სახე ხართ, ბევრი გიბრძოლიათ, მაგრამ პარტია, რომლის წარდგენითაც კენჭს იყრით, არაცნობადი და არარეიტინგულია...**

– რაც შეეხება თემქას, ეჭვი არ მეპარება, რომ გავიმარჯვებ და დახრჩობის საფრთხეც არ მემუქრება.

რაც შეეხება პოლიტიკურ გუნდს, ჯერ რეიტინგული არ არის, მაგრამ გახდება, ჩემო კარგო, იმიტომ რომ გაიცნობს მოსახლეობა: რა გვინდა და როგორ გვინდა. ეგრე არავინ არ იყო რეიტინგული თავიდან და დაიწყეს ხომ რაღაცა. ზოგმა პოპულისტური განცხადებებით, ზოგმა ისე და გახდნენ რეიტინგულები. ზოგი ავადსახსენებელი გახდა, ზოგი მისაბაძი და ა.შ. თუმცა ფაქტია, მზე და მთვარე არ ამოდის ელექტორატს არც ერთ მათგანზე. ამიტომ სივრცე რეიტინგის ზრდისთვისაა, რამდენად გამოგვივა, ვნახოთ.

**— რაც შეეხება კონკრეტულად თქვენს საარჩევნო ოლქსა და თემქის მოსახლეობას, მაჟორიტარობის კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბევრ დაპირებას აძლევენ მოსახლეობას, თქვენ რას ჰპირდებით?**

– მე მაქვს ჩემი ნაცხოვრები ცხოვრება და ვერავის დავპირდები რაღაც ისეთს, რაც ჩემი ცხოვრების განმავლობაში არ გამიკეთებია. რასაც ყოველთვის ვაკეთებდი, იყო დაჩაგრულის გვერდით დადგომა, სიმართლის გატანა, სიმართლისთვის ბრძოლა, ამით შემიძლია, დავუდგე ჩემს თემქელ მოსახლეობას გვერდით. თითოეულის ტკივილი გავითავისო და მივიტანო პარლამენტამდე, ან ხელისუფლებამდე, სადაც დასჭირდებათ ჩემი დახმარება.

**— გარდა ადამიანების დახმარებისა, კონკრეტულ უბანს ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი, ინფრასტრუქტურული თუ ა.შ. და დეპუტატები ამასაც ხშირად გადაჭარბებულად ჰპირდებიან, თუმცა შემდეგ მათთვის ვეღარ იცლიან, ან ამბობენ, რომ მათი კომპეტენცია არაა და ასე „ასრულებენ“ თავიანთ დაპირებებს. ხალხი ასეთ რაღაცებს აღარ „ჭამს“ და თქვენ რატომ უნდა გენდონ?**

– რატომ? არ ვუყურებ მე ასე, მაჟორიტარი დეპუტატი აუცილებლად ჩართულია იმ ცხოვრებაში, რასაც უბნის ცხოვრება ჰქვია, ან იმ გეოგრაფიულ არეალში, რაშიც მისი მანდატი მოქმედებს. ჩემს თემქელ მოსახლეობას რაღაც გაუჭირდეს და მე ვუთხრა, ეგ მე არ მეხება, კანონებს ვწერ-თქო? შანსი არ არის. კანონის დაწერაში უფრო ნაკლები მონაწილეობა მექნება, ვიდრე იმ ცხოვრებაში, რასაც ადამიანების ტკივილის გაზიარება, მათთან ერთად გაყოფა ამ ტკივილის და ხელისუფლების უმაღლეს საფეხურებამდე მიტანა ჰქვია. ჩართულობა ძალიან დიდი იქნება ხალხთან. პარლამენტში ისედაც საკმაო რაოდენობის ხალხია, ვინც კანონებზე მუშაობს.

**— თუმცა კანონებიც ხალხისთვის იქმნება და ზოგჯერ სწორედ რამდენიმე ხმაა საჭირო, რომ მოსახლეობისთვის უკეთესობისკენ რაიმე შეიცვალოს. ხალხის გასაჭირზე მელაპარაკებით და რომელია ის კანონი, რომელსაც ლობისტობას გაუწევ?**

– მე გამოვიდოდი იმ კანონებიდან, რასაც ჩემი საზოგადოება მიკარნახებდა, თუ ამირჩევენ, მათთან ერთად გავივლიდი ბევრ საკითხს და რაც იქნებოდა პირველ რიგში აუცილებლობა, იმის შეცვლაზე ვისაუბრებდი ხმამაღლა. დღეს ეგეთი რამ ხდება, რაღამც უკვე მანდატი აქვს მაჟორიტარს, ხშირად არც ჩასულა და არც უკითხავს, რას ფიქრობს და რა აწუხებს ამომრჩეველს.

რაც შეეხება კანონის ლობირებას, მე მივეკუთვნები საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც აღქმულია არალიბერალურ ფრთად. ჩემი მამაპაპური წეს-ჩვეულებიდან გამომდინარე, როგორც წესი და რიგია, როგორც ქრისტიანულია, ისე ვიმოქმედებდი, ანუ ერთსქესიანთა ქორწინებასა და მსგავს კანონპროექტებს მხარს არ დავუჭერდი, რაც არ უნდა ეძახათ ჩემთვის. ამ დღეებში, როცა თემქის მოსახლეობას ვხვდებოდი, სხვათა შორის ამ თემაზეც იყო საუბარი და არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ეთქვას, ეს კანონი უნდა მივიღოთო, პირიქით, ხალხი წინააღმდეგია ამის. ის დეპუტატები კი, ვინც ხალხის განწყობის მიუხედავად, მაინც მათ საწინააღმდეგოდ აძლევენ კანონპროექტს ხმას, ვერ იქნებიან ხალხის წარმომადგენლები და ვერ მოიპოვებენ მომავალში ამომრჩევლის ნდობას.

**— ამბობთ, რომ გაგვიცნობენ და რეიტინგიც გაიზრდებაო, მაგრამ, თუ პარტიამ ბარიერი ვერ გადალახა, თქვენ კი თქვენი ცნობადობიდან თუ დამსახურებებიდან გამომდინარე აგირჩიეს, პოლიტიკური გუნდის გარეშე ერთი კაცის ხმა რამეს გააწყობს პარლამენტში? როგორ გაიტანთ კანონებს?**

– ერთი კაცის ხმა ძალიან ბევრ რამეს შეიძლება ნიშნავდეს, ჩემო კარგო. ახლა ისეთი პარლამენტი მოდის, რომ ვუყურებ, თითო კაცის ხმა იქნება გადამწყვეტი. კი, „ოცნებასაც“ დიდი შანსები აქვს, „ნაციონალებსაც“ აქვთ გარკვეული შანსი, სხვა რამდენიმე პარტიასაც, მაგრამ ისე რომ ერთპიროვნულად ვინმემ გაიმარჯვოს, არა მგონია. ამიტომ თითოეული ხმისთვის იქნება წელს ძალიან დიდი ბრძოლა.

**— რაღა დაგიმალოთ და, თემქის მაჟორიტარულ ოლქში თქვენი ხილვა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო, უფრო ძველი თბილისის რომელიმე რაიონში წარმოგიდგენდით, როგორც ცნობილ კოლორიტს, რატომ აირჩიეთ თემქა, გარდა იმისა, რომ ზღვაა ახლოს?**

– იცით, რა? თბილისში თუ ნორმალური ადამიანი ვერაზე უყვართ, მთაწმინდაზე ან სოლოლაკში, ზუსტად ისევე უყვართ თემქაზეც, გლდანშიც და ავჭალაშიც. თბილისი არაფრით არ არის შეცვლილი. შეიძლება ძველი უბანი ძველი უბანია, მაგრამ თემქაზეა სწორედ ის მოსახლეობა, სადაც ადამიანების მეტი წილი ძველი უბნებიდან გადავიდა საცხოვრებლად.

**— მას შემდეგ, რაც ღიად განაცხადეთ, რომ პოლიტიკაში მოდიხართ და ხართ ხელისუფლების ოპონენტი, შეიცვალა თუ არა დამოკიდებულება „ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან, ბევრი მათგანის მხარდამხარ იბრძოდით, მეგობრობდით, თუმცა საბოლოოდ მათი კონკურენტი გახდით და თუ ვინმეს დააკლებთ ხმებს, ყოველ შემთხვევაში თქვენს ოლქში, ეს იქნება ხელისუფლება. იგრძნობა მათი მხრიდან წყენა ან უკმაყოფილება, ხომ არ შეგხმიანებიან და რამე ხომ არ უთქვამთ?**

– არ ვაქცევ საერთოდ ყურადღებას და არც მაინტერესებს. იმიტომ რომ მე მათთან, ჩემს მეგობრებთანაც და არამეგობრებთანაც, გინდათ „ოცნებაში“ და გინდათ სხვა პარტიებში, ყველანაირი სუბორდინაცია მქონდა დაცული. ვუწევდი ანგარიშს აბსოლუტურად ყველაფერს. ასე ხათრით ცხოვრება როდემდე შეიძლება? ახლა ხათრით მაგენმა იცხოვრონ.

ხმებს რომ წავართმევ, მაგას უეჭველი გრძნობენ. ამოუყვანეს ყელში ხალხს თავი. მოსახლეობას ვატყობ, რომ ფრთხილია უკვე, ელოდებიან, აბა რა ტყუილს ვეტყვი, მაგრამ ვერ გაიგებენ ჩემგან ტყუილს, ციხე-კოშკებს მე ვერავის დავპირდები...

**„არ ვაქცევ საერთოდ ყურადღებას და არც მაინტერესებს. იმიტომ რომ მე მათთან, ჩემს მეგობრებთანაც და არამეგობრებთანაც, გინდათ „ოცნებაში“ და გინდათ სხვა პარტიებში, ყველანაირი სუბორდინაცია მქონდა დაცული. ვუწევდი ანგარიშს აბსოლუტურად ყველაფერს. ასე ხათრით ცხოვრება როდემდე შეიძლება? ახლა ხათრით მაგენმა იცხოვრონ“**

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



განათლებისა მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, ეროვნული გამოცდები მშვიდ ვითარებაში ჩაივლის და არანაირ სირთულეს, ამ მხრივ, არ ელოდებიან. მისივე თქმით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ახლახან იმყოფებოდა და გამოცდების მიმდინარეობის პროცესთან დაკავშირებით ცენტრის ხელმძღვანელობას ესაუბრა.

# დავით ფერაძე: „ვინ გადაურჩება, რომელი მთავრობა და რომელი უწყება, ამ დაზარალებულ აბიტურიენტებს და მათ მშობლებს?“





## რა პრობლემებს ელიან ექსპერტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე?

„ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ არანაირ სირთულეს არ მოველით. საგამოცდო პროცესი ძალიან კარგად არის მომზადებული“, – თქვა მინისტრმა.

**სინამდვილეში რა პრობლემებს უნდა ელოდნენ ის აბიტურიენტები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება ელექტრონული ფორმატით მოუწევთ და რა უნდა გაითვალისწინონ მათ?**

**„ალიას“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ თავმჯდომარე, დავით ფერაძე ესაუბრა:**

– როგორც ცნობილი გახდა, ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდება ნახევრად ელექტრონული ტესტით. ანუ, ნაწილობრივ კომპიუტერული ფორმით მოხდება აბიტურიენტებისთვის გამოცდების შეთავაზება, საგამოცდო ტესტებს ბავშვი მიიღებს ეკრანზე, ანუ აბიტურიენტი ეკრანზე დავალებას წაიკითხავს. ამავდროულად მას მიეცემა პასუხებისთვის სამუშაო ფურცელი. ტესტი კი ელექტრონულად მიეწოდება. ამით ფაქტობრივად, არაფერი იცვლება უკეთესობისკენ.

**— რას გვეტყვით ამ ახალი წესის დადებით და უარყოფით მხარეებზე?**

– საფრთხე არის სერიოზული და ეს აჩვენა ამ ფორმატის პილოტირებამაც. ამის მიუხედავად, გამოდის სამინისტრო და აცხადებს, რომ ყველაფერი წესრიგშია და ყველაფერი ნორმის ფარგლებში ჩაივლის. გულწრფელად გეტყვით, რომ ცოტა არ იყოს, ეჭვიც კი შემეპარა – ეს ნამდვილად მინისტრის პოზიციაა, თუ ამას იმიტომ ამბობს, რომ ქაოსი არ გაჩნდეს აბიტურიენტებში. ბოლო რამდენიმე წელია, კარგად დავინახეთ, რომ ყველა გამოცდა, რომელიც ელექტრონული წესით ჩატარდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზებით გამოირჩეოდა. ამ ხნის განმავლობაში რომ გვენახა, ასეთი ხარვეზები გამოსწორებადია და უწყება ამას შემდეგისთვის გაითვალისწინებს, შედარებით მშვიდად ვიქნებოდით, მაგრამ ჩვენ ეს ვერ დავინახეთ და ეს ქმნის ფონს, რომ ამ გამოცდების უნდა გვეშინოდეს. პილოტირებამ აჩვენა, რომ უმეტესწილად კომპიუტერებიც კი ვერ მუშაობდა გამართულად. შენელებული იყო მათი მუშაობა. ეს კი გამოწვეული იყო ორი სავარაუდო მიზეზით – ან ის კომპიუტერები იყო დახარვეზებული, რომლებთანაც გამოსაცდელი ადამიანები სხედან, ან სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე. არც ისაა გამორიცხული, ორივე პრობლემასთან ერთდროულად გვქონდეს საქმე. წარმოიდგინეთ, მარტო ერთ სესიაზე, 10 ათასამდე კომპიუტერი იქნება ერთბაშად ჩართული.

**„საფრთხე არის სერიოზული და ეს აჩვენა ამ ფორმატის პილოტირებამაც. ამის მიუხედავად, გამოდის სამინისტრო და აცხადებს, რომ ყველაფერი წესრიგშია და ყველაფერი ნორმის ფარგლებში ჩაივლის. გულწრფელად გეტყვით, რომ ცოტა არ იყოს, ეჭვიც კი შემეპარა — ეს ნამდვილად მინისტრის პოზიციაა, თუ ამას იმიტომ ამბობს, რომ ქაოსი არ გაჩნდეს აბიტურიენტებში“**

**ძალიან მაინტერესებს, იგივე პრობლემის წინაშე რომ დადგნენ აბიტურიენტები გამოცდაზე, რაც ადრე ხდებოდა, როცა კომპიუტერები „ეკიდებოდა“, მერე ვინ გადაურჩება, რომელი მთავრობა და რომელი უწყება, ამ დაზარალებულ აბიტურიენტებს და მათ მშობლებს?**

როგორც უწყება გვეუბნება, ამ სტილით ჩატარებულ გამოცდებს, უკეთესი ვიზუალიზაცია, აღქმა აქვს. რასაკვირველია, ეს არაა ცუდი, მაგრამ ამ ფორმატისთვის შეუჩვეველი აბიტურიენტისთვის, არ არის მარტივი ამ პრინციპით მუშაობა. მით უმეტეს, როცა საუბარია იმაზე, რომ ამ ფორმატმა მეტი დრო უნდა წაიღოს. კი გვითხრეს, რომ დრო დაამატეს, მაგრამ რეალურად ეს დრო დაახლოებით 5 წუთია, რაც დიდ შეღავათს არ იძლევა. გარდა ამისა, ეს ფორმატი პრობლემური იქნება რეგიონების, სოფლის აბიტურიენტისთვის. რაც არ უნდა გვიმტკიცონ, ყველამ კარგად ვიცით, რომკარგად ვერ ფლობენ პერიფერიებში XI-XI კლასელები კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.

**— წინა ეროვნული გამოცდების დროს, ხშირად უთქვამთ, რომ ტესტები ხარვეზიანი იყო. ახლა რა ხდება?**

– კი, ძალიან ბევრი გვისაუბრია ამ თემაზე მომუშავე ადამიანებს, მაგრამ დღემდე არაფერი გამოსწორებულა არც ამ კუთხით. გადახალისებებიც კი არ ხდება ტესტების. სახეზე გვაქვს ასეთი ფაქტი – ამ პროგრამის შემდგენლები არიან ერთი და იგივე ადამიანები, რომლებიც ხელფასს მხოლოდ იმაში იღებენ, რომ ორ საკითხს ამოიღებენ და ერთს ჩადებენ მის ნაცვლად. ასევე, ფაქტია, რომ არ არსებობს ბმა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, სკოლაში რაც ისწავლება, ის ხომ უნდა მოსთხოვო ეროვნულ გამოცდებზე მოსწავლეს?! რეალურად კი ეს ფაქტორი ძალიან ხშირად ირღვევა. არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც არ არის შესული არც ერთ სახელმძღვანელოში, მაგრამ შესულია ტესტებში. ამის თაობაზე მივმართეთ კიდეც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, მაგრამ ვხედავთ, რომ შედეგი არ გამოუღია.

ასევე, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, თუკი ეს ფორმატი ექსპერიმენტული იყო, მაშინ, რატომ არ ტარდება მთლიანად ელექტრონულ ფორმატში და რატომაა ეს მხოლოდ ნაწილობრივი? სხვა თუ არაფერი, ეს წესი არათანაბარ პირობებში ჩააყენებს აბიტურიენტებს, ერთი მარტივი მიზეზის გამო – გამოდის, რომ თუკი იმ მიზეზით ტარდება ნაწილობრივი, რომ დატესტონ, რა სახის პრობლემებს შექმნის ეს ფორმატი, გამოვა, რომ აბიტურიენტების ის ნაწილი დაზარალდება, რომლებიც ელექტრონული ფორმატით ჩააბარებენ გამოცდებს, იმას ვგულისხმობ, რომ არავინ იცის, ამდენი კომპიუტერი ერთად რომ ჩაირთვება ქსელში, სისტემა როგორ იმუშავებს.

გარდა ამისა, ეჭვს იწვევს ის, რას ემსახურება ეს ელექტრონული ფორმატი – იმას ხომ არა, რომ გამსწორებლებს მიეცეთ მანიპულირების საშუალება, კონკრეტული აბიტურიენტების სასარგებლოდ დადონ შედეგები?

ასევე, საკითხავია იმ ტესტების დაცულობის ხარისხი, რომლებიც უნდა შევიდეს კომპიუტერებში. რომც არ გატყდეს ეს პროგრამები, ჩვენ არ გვაქვს არანაირი გარანტია საიმისოდ, რომ ინფორმაცია არ გამოჟონავს ტესტებიდან. მაგალითად, მე ვარ „აიტიშნიკი“, არ ვტეხ და არ ვატეხინებს არავის ბაზას, მაგრამ მე მიმიწვდება ხელი ინფორმაციაზე და თავისუფლად შემიძლია გავიტანო. სხვა თუ არაფერი, ხელით ამოვწერ და ისე გავიტან ხომ? რეალურად ტესტების გაჟონვის რისკი ამ ელექტრონული ფორმატით ბევრად გაიზარდა, იმიტომ რომ ასეთი „აიტიშნიკი“ ერთი და ორი კი არა, ძალიან ბევრია.

**— ახლა, ვიღაცა იტყვის, დავით ფერაძე პროგრესის წინააღმდეგიაო...**

– არ ვუყურებ გამოცდების ამ ფორმატს რეტროგრადის თვალით, პირიქით, ვთვლი, რომ უნდა განვვითარდეთ, მაგრამ, როცა ამბიცია გაქვს განვითარებაზე, რეფორმაზე და ა.შ. ყველა სიახლე უნდა პასუხობდეს მოთხოვნებს – უნდა იყოს სწორად გამოყოფილი დრო, ფინანსურად უნდა იყოს ეფექტიანი და საერთო ჯამში, არსებითად უნდა იცვლებოდეს რაიმე, რეალური სურათი კი სხვაგვარია. არანაირი ცვლილება უკეთესობისკენ არაა, რაზეც დაწვრილებით ზემოთ ვისაუბრე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გაბედული მოხელეები საპატრიარქოს მზარდ მადას წინ აღუდგნენ



ოზურგეთის მერმა ადგილობრივ ეპისკოპოს იოსებს უარი უთხრა თხოვნაზე, ეპარქიისთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცათ ექადის უნიკალური ტყე-პარკი (საუბარია 18 ჰექტარზე, რომელსაც ოზურგეთის ფილტვებსაც ეძახიან ხოლმე). ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ წერილით მიმართა ეპარქიას და დაუსაბუთა, რომ სჯობს ამ უნიკალურ ტყე-პარკს დაცული ტერიტორიის სტატუსი მიენიჭოს და ყველამ ისარგებლოს, არათუ ეპარქიამ მიისაკუთროს და ჩაიკეტოს ისევე მაღალი ღობეებითა და კავკასიური ნაგაზებით, როგორც ადრე გადაცემული ტერიტორიების შემთხვევაში მოხდა.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სოფელ იყალთოში მდებარე სკვერის უსასყიდლოდ გადაცემაზე ქონების ეროვნულ სააგენტოს უარი უთხრა, რომელიც მიწის გადაცემას საპატრიარქოსთვის ითხოვდა. საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანის განცხადებით, სკვერის მოწყობაზე, რომლითაც საზოგადოება სარგებლობს, სახელმწიფოს თანხებია დახარჯული. გარდა ამისა, მთავრობა იყალთოს განვითარების პროექტს იწყებს და სკვერის ადგილას სხვადასხვა ობიექტის მოწყობაა გათვალისწინებული. (primetimenews.ge)

## ორი გარდაცვლილი და ერთი მძიმედ დაშავებული - თბილისში ხანძარს ახალგაზრდები ემსხვერპლნენ



თბილისში, დიღმის მასივში საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს 25 წლამდე ასაკის ორი მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათი მეგობარი კი სხეულის მძიმე დამწვრობით რეანიმაციაშია მოთავსებული.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში აცხადებენ, შემთხვევა 16 ივნისს, გამთენიისას მოხდა. ხანძრის შედეგად 30 კვადრატული მეტრის ფართი დაიწვა.

არსებული ინფორმაციით, ახაკგაზრდები ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ და ხანძარი, სავარაუდოდ, სიგარეტის ნამწვმა გამოიწვია. ადგილზე 4 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა იყო მობილიზებული. (ნიუპოსტი)

## „კენჭს ვიყრი თემქაზე, თუ წავაგე, თავს დავიხრჩობ ზღვაში“ - კორკოტაშვილი დეპუტატობას აპირებს



გია კორკოტაშვილი მაჟორიტარ კანდიდატად კენჭისყრას თბილისში, თემქის რაიონში აპირებს.

როგორც კორკოტაშვილმა ინგა გრიგოლიასთან გადაცემაში განაცხადა, მისი კანდიდატურის წარდგენა პარტია „ჩვენი სამშობლოს" მიერ მოხდა, რომლის თავმჯდომარე ზვიად ჩიტიშვილია:

– ვაპირებ ნდობა დავიმსახურო იმ ადამიანების, რომელთა უმეტესობის ნდობა უკვე მაქვს. როდემდე შეიძლება განზე გამდგარმა უყურო ამ ყველაფერს. „ქართულმა ოცნებამ" „ნაციონალურ მოძრაობას" რეანიმაცია გაუკეთა, იმიტომ აღარ მწამს და არ მჯერა. ვერ ივარგეთ, ბატონებო და რა გავაკეთოთ, პირველ 4 წელიწადს ტყუილში ხართ და ვერ გააკეთეთ ის, რაც გასაკეთებელი გაქვთ. კენჭს ვიყრი თემქაზე, ზღვასთან ახლოს არის და თუ წავაგე, თავს დავიხრჩობ, - განაცხადა კორკოტაშვილმა. (ნიუპოსტი)

## რომელ საწარმოებში ამზადებდნენ სიცოცხლისთვის საშიშ პროდუქტს - ფაქტზე ორი პირია დაკავებული



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ფალსიფიკაციისა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება - რეალიზაციის ფაქტზე, შპს „ფასანაური 2010“-ის დირექტორი იაგო ბიჩინაშვილი და ი/მ „თეონა ბუხრაძის“ ხელმძღვანელი, ნიკოლოზ ბუთხუზი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სანიტარული ნორმების დარღვევით, კუსტარულად მოწყობილ საწარმოებში ახდენდნენ ჯანმრთელობისთვის საშიში, ფალსიფიცირებული ნახევარფაბრიკატების - კატლეტის, აფხაზურას, ხინკლის, ტოლმის, ბლინის, ფარშისა და ქაბაბის დამზადებას და შემდგომში მის რეალიზაციას.

აღნიშნულ საქმეზე, საგამოძიებო მოქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე და 198-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სასჯელის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით. (pia.ge)

# რა გველის მომავალ კვირაში

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**— ბატონო დავით, რას გვირჩევენ ვარსკვლავები, რისი ცოდნა და გათვალისწინება გვმართებს მომავალ კვირისთვის?**

– მომავალი კვირა იქნება მთვარის პოზიციით მშვილდოსანში. შესაბამისად, სასურველია, კვირის დასაწყისიდანვე ადამიანები განეწყონ ოპტიმისტურად, წარმატებების რწმენა ხშირად გადამწყვეტ როლს შეასრულებს მთელი კვირის განმავლობაში. ამასთანავე, აუცილებელია, მეტი ყურადღება მიაქციონ ადამიანებმა ნებისმიერ წვრილმანებს და დეტალებს, იმიტომ, რომ მხედველობიდან გამოსულმა უმნიშვნელო წვრილმანმაც კი შესაძლოა, სერიოზული პრობლემა გამოიწვიოს ნებისმიერ საქმეში. ამ პერიოდში შესაძლოა, გაჩნდეს პრობლემები უცხოეთში მოგზაურობისას. მიმდინარე კვირა სასიკეთო იქნება კარიერასა და ბიზნესზე ზრუნვისთვის. მეგობრებთან და ნაცნობებთან ხშირი კონტაქტისთვის, რადგან მათთან წამოსული იდეები და ინიციატივები, წარმატების მომტანი გახდება. მომდევნო კვირას რეტროგრადულ მოძრაობაში იმყოფება მარსი მორიელის ზოდიაქოში. ხუთშაბათსა და პარასკევს უარყოფით ასპექტს შექმნის მთვარესთან. ამიტომ ამ დღეებში არ არის მიზანშეწონილი კრედიტების აღება და ფულის გასესხება. არ ღირს ამ პერიოდში რაიმე ფინანსური პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება. შაბათ-კვირას მთვარე იმოძრავებს თევზების ზოდიაქოში, ამიტომ მაქსიმალური სიფრთხილეა საჭირო ალკოჰოლის მიღებისას, გაიზრდება, აგრეთვე, მოწამვლების ალბათობა.

**— როგორი იქნება მომავალი კვირის პოლიტიკური სიტუაცია?**

– კვირის დასაწყისში მოსალოდნელია სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების გააქტიურება, არ არის გამორიცხული ვნებათაღელვა რელიგიის თემაზე, მოსალოდნელია აბიტურიენტთა უკმაყოფილება გამოცდების ხარვეზებთან დაკავშირებით. მეტად სახიფათო იქნება მთელ მსოფლიოში ხუთშაბათი და პარასკევი, ადამიანებში უკიდურესად მოიმატებს აგრესია, არ გამოვრიცხავ, რომ ამ კვირაში მსოფლიოს გარკვეულ ტერიტორიებში მოხდეს ტერორისტული აქტები.

**— მსგავსი ნეგატიური მოვლენები საქართველოშიც ხომ არ არის მოსალოდნელი?**

– არა, საქართველოში შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების აგრესიულ დაპირისპირებებს.

**— როგორი იქნება მომავალი კვირა ბიზნესისა და ზოგადად, ახალი საქმეების წამოწყებისთვის.**

– მომავალ კვირაში სასურველია, რაიმეს წამოწყებას მოერიდონ მშვილდოსნები, ტყუპები და თევზები. მოსალოდნელია, წამოწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანა გაუჭირდეთ. ბიზნესი და საქმიანი კონტაქტები შესაძლოა, წარმატებით განახორციელონ თხის რქამ, მერწყულმა, სასწორმა და კურომ. ყველა სხვა ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულმა ადამიანებმა უმჯობესია, გარემოებებს მისდიონ, მათთვის წარმატების მომტანი იქნება საქმეები, რომელსაც გარემოებები შესთავაზებთ. მომავალი კვირა წარმატებული იქნება ისეთი საქმეებისა და ბიზნესებისთვის, რომელიც უკავშირდება მშენებლობებს, სამშენებლო მასალებს, მიწისქვეშა წიაღისეულს, გეოლოგიას, ასევე, ტელევიზიებისთვის იქნება წარმატებული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ახალი ტექნოლოგიებისთვის. რთული კვირაა მოსალოდნელი ბიზნესის ისეთი სფეროებისთვის, რომლებიც უკავშირდება ტურიზმს, მედიცინას, მედიკამენტებს, ტრანსპორტს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და გამომცემლობებს. ზოგადად, კომერციას.

**— ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება?**

– ასტრორჩევების მიხედვით, მთელი კვირის განმავლობაში ყურადღება უნდა მიექცეს ღვიძლს, აუცილებელია გარკვეული დიეტის დაცვა და ისეთი პროდუქტის მიღება, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ღვიძლის ფუნქციონირებაზე. მომავალ კვირაში ძალიან ადვილად შეიძლება მოიმატოთ წონაში, ამიტომ გამორიცხეთ ან მინიმუმამდე დაიყვანეთ ცხიმიანი საკვები თქვენს რაციონში. ეს კვირა სასიკეთოა ნებისმიერი სამკურნალო პროცედურებისთვის, რაც უკავშირდება სისხლძარღვებს, ძვალსახსროვან სისტემას, ხერხემალს. ამ კვირაში სასარგებლოა ფრინველის ხორცისა და კალციუმით მდიდარი რძის პროდუქტების მიღება.

**— რომანტიკულ, სასიყვარულო ურთიერთობებში რარის გასათვალისწინებელი?**

– სასიყვარულო რომანტიკულ ურთიერთობებში უფრო მეტი წესრიგის შეტანა მოუწევთ ადამიანებს, ნებისმიერ შემთხვევაში დაფიქრდებიან სასიყვარულო ურთიერთობების პერსპექტივებსა და მომავალზე, მოსალოდნელია ბევრი ისეთი სასიყვარულო ურთიერთობა დაიშალოს ამ პერიოდში, რომელსაც არასერიოზული და ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე მოეკიდება რომელიმე მხარე. სამაგიეროდ, ის სასიყვარულო ურთიერთობები გამყარდება, სადაც ორივე მხარე ხედავს პერსპექტივას და მომავალს ამ ურთიერთობებისთვის.

**— როგორ გააძლიერონ ადამიანებმა თავიანთი შარმი და მიმზიდველობა?**

– როგორც ასტროლოგმა, შემიძლია, ვურჩიო, რა გააძლიერებს ადამიანთა მაგნიტიზმს, როგორ მოიქცნენ და რა ფერებზე გაამახვილონ ყურადღება თავიანთ ჩაცმულობაში. მომავალ კვირაში ადამიანის მომხიბვლელობას გააძლიერებს საქმიანი, ოფიციალური სტილი როგორც მამაკაცთა, ასევე მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის. მომავალ კვირაში არ არის რეკომენდებული თავისუფალი სპორტული სტილის ჩასაცმელი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საგანგებო შემთხვევებს, სადაც უხერხულია კლასიკური ტანსაცმლით გამოჩენა. კარგია, თუ ტანსაცმელში დომინანტი იქნება მწვანე და წითელი, იისფერი, სასურველია, მოერიდონ ოქროსფერს, თეთრს, ყვითელს, ვერცხლისფერსა და ყავისფერს. თუ თეთრს ჩაიცვამთ, აუცილებელია მისი დაბალანსება კონტრასტული შავი ფერით ან იმ ფერებით, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

მომავალი კვირის პოზიტიური დღეებია – სამშაბათი-ოთხშაბათი. საშუალო – შაბათ-კვირა; ნეგატიურია – ორშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი, რაც იმას ნიშნავს, რომ სარისკო საქმეებსა და შემოსავლებთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებს მოერიდოთ, საქმიანი წამოწყებები კი პოზიტიური დღეებისთვის გადადოთ.



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სოფელი დუშეთის რაიონში
2. დოსტოევსკი. „ძმები ...“
3. საბჭოთა კლოუნი
4. იტალიელი ფერმწერი
5. კანის ინფექც. დაავადება
6. წრეების შემოსახაზი ხელსაწყო
7. აღორძინების ეპოქა
8. თავადაზნაურულ. წოდება ინგლისში
9. ყურძნის ჯიში
10. მდინარე გერმანიაში
11. პიანისტი სვიატოსლავ ...
12. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში
13. თვითმფრინავების სადგომი
14. მზის საათი მოედანზე
15. სავანის ბინადარი ცხოველი
16. წყალქვეშა კლდე
17. მოკრივე მაიკლ ...
18. მინა ცალი თვალის ფოსოში
19. მსახიობი ... თურმანი
20. სახელის პირველი ასო
21. ჭამის სურვილი
22. სფეროს ფორმის წამალი
23. სხარ-ტულა ლექსი
24. ფიგურული ჭრა ხეზე
25. იანის საპირისპირო
26. თუთიყუშის სახეობა
27. ყვავის ბარტყი
28. სიო
29. გასასვლელი მდინარეზე
30. საველე სავადმყოფო
31. დაბა იმერეთის მხარეში
32. მეანის თანაშემწე
33. მსახიობი ... ნილი
34. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში
35. იტყვიან გამხდარ ადამიანზე
36. ტბა დუშეთის რაიონში
37. მსახიობი ... ჰეპბერნი
38. გერდას მეგობარი ბიჭუნა
39. მხ/ფ „ციცქრის ...“
40. საეკლესიო კრება
41. სამშენებლო მასალა
42. მწვანე მინერალი
43. შუბის წვეტი
44. ნადირობის ქალღმერთი
45. ნადირობა აფრიკაში
46. ციებ-ცხელება
47. ბროში ადამიანის პროფილით
48. მულტფილმი „... დამაცადე“
49. დიდი ქვა
50. რადიოლოკატორი
51. მისი დედაქალაქია სოფია
52. ვერნი. „საიდუმლო ...“
53. იაპონური ხალათი
54. მომღერალი ... ჯორჯი
55. იტალიელების გმირი ჯუზეპე ...
56. ხერხემლის ძვალი
57. სამშობლოს მონატრება
58. დანა, კოვზი და ...
59. სპორტ. ინვენტარის ფირმა
60. ათკაპიკიანი ძველად
61. მეცნიერება თევზების შესახებ
62. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
63. უფულოდ წაღებული საქონელი
64. ზევსის მერიქიფე
65. ძვლების დაავადება
66. ქალაქი აშშ-ში
67. თხევადი ლითონი
68. მოგზაური ტიმ ...
69. მწვანილების კონა
70. ზღვის ფრინველი
71. მსახიობი ია ...
72. მსახიობი ... რობერტსი
73. რეჟისორი ... კუროსავა
74. ძველებური იალქნიანი გემი
75. მომღერალი ... ვაიკულე
76. „ილიადა“ ავტორი
77. მსახიობი ... რუსო
78. ქათმის საკვები
79. ყვავილი
80. ლითონი
81. რუსი ილუზიონისტი
82. მისი დედაქალაქია რაბატი
83. ფეხბურთის „მეფე“
84. ხელოვნური ვარცხნილობა
85. მხატვარი კლოდ ...
86. რიცხვი ექვსი ნულით
87. ნიანგის სახეობა
88. კომპოზიტორი ... კორსაკოვი
89. მისი დედაქალაქია ტალინი
90. მწერალი ... ტოლსტოი
91. ციხე-ქალაქი კახეთში
92. ზამბახი
93. არქიტექტორი, რომელიც პეტერბურგში მოღვაწეობდა
94. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში
95. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
96. რუს მეფეთა დინასტია
97. ბილიარდის ჯოხი
98. მისი დედაქალაქია ჯაკარტა
99. ჯონათან სვიფტის გოლიათი
100. შეედური ნურდა ფული
101. მსახიობი შერონ ...
102. კომპოზიტორი ... კვერნაძე
103. მდინარე აფრიკაში
104. სახსრების დაავადება ... ქარი
105. ქალაქი პოლონეთში
106. ფრინველის სადგომი
107. თევზის კვერცხები
108. მეტყველების ორგანო
109. მამითადი
110. ტილის კვერცხი
111. გოგოლის მოთხრობა
112. ნახტომი ...-მორტალე
113. მსახიობი ... დელონი
114. რეჟისორი ... ლი
115. დიდი და ხშირი ტყე
116. პინოქიოს ავტორი
117. თეფშში ფინჯნის ქვეშ
118. ერთიანი ნარდში
119. დადებითი ელექტროდი
120. ცხენბურთი
121. მწერალი არტურ კონან ...
122. ვენეციელი მენავეების სიმღერა
123. მსახ. ... უიზერსპუნი
124. ნუსხა
125. ლარნაკი
126. კუნძულოვანი სახელმწ. წყნარ ოკეანეში
127. მთაში გაყვანილი კომუნიკაცია
128. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
129. ერთი ასაკის ადამიანები
130. რაიმეს სახელური
131. მხატვარი ედუარდ ...
132. პრეზიდენტი ბარაკ ...
133. ინგლისური ლუდი
134. ვარამი
135. ტყის სანიტარი ფრინველი
136. ძალა, ღონე
137. ნაყოფი ეკლიანი „ქურქით“
138. მხატვარი ... გრეკო
139. ახლადგამოჩეკილი ქათამი

პასუხები: 1. ბარისახო; 2. კარამაზოვები; 3. კარანდაში; 4. ტიციანი; 5. მუნი; 6. ფარგალი; 7. რენესანსი; 8. ლორდი; 9. ალადასტური; 10. რაინი; 11. რიხტერი; 12. ახალციხე; 13. ანგარი; 14. გნომონი; 15. ჟირაფი; 16. რიფი; 17. ტაისონი; 18. მონოკლი; 19. უმა; 20. ინიციალი; 21. მადა; 22. დრაჟე; 23. შაირი; 24. ინკრუსტაცია; 25. ინი; 26. კაკადუ; 27. ბახალა; 28. ნიავი; 29. ფონი; 30. ლაზარეთი; 31. ხარაგაული; 32. ბებიაქალი; 33. სემ; 34. ამური; 35. კაფანდარა; 36. ბაზალეთი; 37. ოდრი; 38. კაი; 39. ზარები; 40. სინოდი; 41. არმატურა; 42. მალაქიტი; 43. ბუნიკი; 44. დიანა; 45. საფარი; 46. მალარია; 47. კამეა; 48. აბა; 49. ლოდი; 50. რადარი; 51. ბულგარეთი; 52. კუნძული; 53. კიმონო; 54. ბოი; 55. გარიბალდი; 56. მალა; 57. ნოსტალგია; 58. ჩანგალი; 59. „ნაიკი“; 60. უზალთუნი; 61. იქთიოლოგია; 62. მექა; 63. ნისია; 64. განიმედი; 765. რაქიტი; 66. სიეტლი; 67. ვერცხლისწყალი; 68. სევერინი; 69. კონა; 70. თოლია; 71. ნინიძე; 72. ერიკ; 73. აკირა; 74. კარაველა; 75. ლაიმა; 76. ჰომეროსი; 77. რენე; 78. საკენკი; 79. ია; 80. სპილენძი; 81. კიო; 82. მაროკო; 83. პელე; 84. პარიკი; 85. მონე; 86. მილიონი; 87. გავიალი; 88. რიმსკი; 89. ესტონეთი; 90. ლევ; 91. გრემი; 92. ირისი; 93. რასტრელი; 94. დალი; 96. რომანოვი; 97. კიი; 98. ინდონეზია; 99. გულივერი; 100. ერე; 101. სტოუნი; 102. ბიძინა; 103. ნილოსი; 104. ნიკრისის; 105. ლოძი; 106. ბუდე; 107. ქვირითი; 108. ენა; 109. ნადი; 110. წილი; 111. „ვიი“; 112. სალტო; 113. ალენ; 114. ენგ; 115. ტევრი; 116. კოლოდი; 117. ლამბაქი; 118. იაქე; 119. ანოდი; 120. პოლო; 121. დოილი; 122. ბარკაროლა; 123. რიზ; 124. სია; 125. ვაზა; 126. სამოა; 127. გვირაბი; 128. მარიონეტი; 129. თაობა; 130. ტარი; 131. მანე; 132. ბარაკ; 133. ელი; 134. დარდი; 135. კოდალა; 136. სიქა; 137. წაბლი; 138. ელ; 139. წიწილა. იკითხება: სიმინდი.

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## ტირილს ადამიანის ჯანმრთელობის გაძლიერება შეუძლია?



ისე, რაღა ტირილით უნდა გავიძლიეროთ ჯანმრთელობა, არ ჯობია, სიცილით ვიზრუნოთ ამ კეთილშობილური მიზნისთვის?!

ასეა თუ ისე, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ცრემლებიც ისევე მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმისთვის, როგორც სიცილ-ხარხარი.

ჩატარდა ექსპერიმენტიც, რომელმაც აჩვენა, რომ ტირილის შემდეგ ადამიანის განწყობა და მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ექიმები ამას იმით ხსნიან, რომ ტირილის დროს მარილიან ცრემლებთან ერთად ორგანიზმიდან ისეთი ნივთიერებების გამოდევნა ხდება, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა პრობლემების გამოწვევა შეუძლიათ.

სპეციალისტები აქვე იმასაც ამბობენ, რომ ზემოთქმულის მიუხედავად, არ ღირს ტირილთან დამეგობრება, რეგულარულად ისტერიკაში ჩავარდნა.

– ტირილი სასარგებლო მხოლოდ კვირაში ერთხელ შეიძლება იყოს, – ასეთია მათი რჩევა.

*myjane.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## ბავშვების ცემას შესაძლოა... სიმსივნე მოჰყვეს?



ზოგჯერ კი ძალიან რთულია, მშობელმა ნერვები მოთოკოს და შვილს გემოზე არ შემოუწყრეს, მაგრამ იმდენად საშიში შეიძლება გახდეს ამ ყველაფრის მიზეზი, მხოლოდ გაფიქრებაც კი შემზარავია!..

პლიმუტის უნივერსიტეტის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ონკოლოგიის ერთ-ერთი მიზეზი ბავშვობაში გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმებიც შეიძლება იყოს. უფრო ზუსტად, საუბარი ეხება ფიზიკურ დასჯას და უხეშ მოპყრობას.

შესაბამისი კვლევის ჩატარების შედეგად, სპეციალისტებმა სიმსივნით დაავადებასა და რთულ ბავშვობას შორის კავშირს მიაგნეს. კერძოდ, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების 70 პროცენტს ბავშვობის წლებში მშობლები ფიზიკურად სჯიდნენ.

გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ გულის დაავადებების მქონე პაციენტებში ეს მაჩვენებელი 90 პროცენტია, ხოლო ასთმის შემთხვევაში – 60 პროცენტი.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ბავშვობაში გადატანილი სტრესი და ნერვიულობა ძალიან მისაღებ საფუძველს უმზადებს უამრავ უსიამოვნებას, მათ შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასთმას, სიმსივნეს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და ასე შემდეგ. ამდენად, შვილების აღზრდისთვის მართლაც უმჯობესია, მშობლებმა სხვა მეთოდები გამოიყენონ.

*mamin-dom.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო

## გულის შეტევის შემდეგ, ნიორი დაგეხმარებათ



მართალია, ერთ-ერთი ყველაზე უხერხული საჭმელია ნიორი, მაგრამ იმდენი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა, სპეციალისტები მის შესახებ ახალ-ახალ აღმოჩენებს ლამის ყოველთვიურად აკეთებენ.

ნივრის სხვა სასარგებლო თვისებებზე ჩვენც ბევრჯერ გვაქვს მოყოლილი, მორიგი სიახლე კი იმას გულისხმობს, რომ მას შეუძლია ისეთი ნივთიერებების გამომუშავება, რომლებიც ინფარქტგადატანილი ადამიანისთვის ჰაერივით საჭიროა.

გარდა ამისა, ნიორი რეკომენდებულია იმ ადამიანებისთვისაც, ვინც გულის უკმარისობას განიცდის ან ოპერაცია აქვს გადატანილი.

კანადელი კარდიოლოგების ინფორმაციით, ნიორი თავის სასარგებლო თვისებებს ტრისულფიდის დიალილს უნდა უმადლოდეს, ნივთიერებას, რომელიც გულს გოგირდწყალბადით ამარაგებს.

მღრღნელებზე ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ ნიორი გულის ქსოვილების დაზიანებას მთელი 61 პროცენტით იცავს.

*myjane.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## დაავადებებს სხვადასხვა სუნი აქვს?



რომ დავფიქრდეთ, რთული მართლაც არ არის იმის დადგენა, რომ ადამიანი გრიპითაა დაავადებული, როცა მის ოთახში შევალთ და ოფლის, ხველების საწინააღმდეგო წამლებისა და სხვა საშუალებების სუნს შევიგრძნობთ. მაგრამ მოხერხდება თუ არა სხვადასხვა დაავადების დადგენა მხოლოდ სუნით, რომელიც უშუალოდ ადამიანს აქვს? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დიახ, ეს შესაძლებელია და ბევრი დაავადების სუნი უკვე აღწერილიცაა.

ასე მაგალითად, თავისი დამახასიათებელი სუნი აქვს შიზოფრენიას, რაც ნივთიერებათა ცვლის დარღვევას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია შიზოფრენიის დასადგენად თაგვების გაწვრთნა. სუნს პაციენტებში გექსენის მჟავა ტრანს-3-მეთილ-2 გამოყოფს, რომელიც ოფლთან ერთად გამოდის. მას სპეციალისტები ასე აღწერენ: „გადამწიფებული ტკბილი ხილის სუნი“.

მუკოვისციდოზის (კუჭქვეშა ჯირკვლის ცისტოზური ფიბროზი) დროს, რომელიც მძიმე მემკვიდრეობით დაავადებათა ნუსხაში შედის, სუნს გამოსცემს არა ოფლი, არამედ სუნთქვა და ის ხასიათდება, როგორც მომჟავო.

საკუთარი „არომატები“ აქვს ღვიძლის, თირკმლებისა და საკვების მომნელებელ ორგანოებს, რადგან ისინი პასუხს აგებენ სისხლის წმენდაზეც და მათი დაზიანების შემთხვევაში, სისხლში ჩნდება კომპონენტები, რომლებიც იქ არ უნდა იყოს. ზოგიერთ მათგანს საგრძნობი სუნიც აქვს, მაგალითად, თევზის, როცა ორგანიზმი ვერ ითვისებს ქოლინს (ბე ჯგუფის ვიტამინი), რომელიც შედის საკვებში და აგროვებს ნივთიერებას, სახელწოდებით ტრიმეტილამინი.

ზოგიერთი დაავადების სუნის აღწერა საავადმყოფოებში მომუშავე ადამიანებსაც შეუძლიათ. მაგალითად, დიფტერიას ტკბილი სუნი აქვს, მუცლის ღურს დაავადებას – ახლად გამომცხვარი პურის, ტუბერკულოზის ერთ-ერთ ფორმას – ლუდისა და ასე შემდეგ.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას, პატარა ბავშვებს იმდენად ძლიერად ასდით ნეკერჩხლის სიროფის სუნი, რომ ამ მდგომარეობამ ამერიკაში საკუთარი სახელიც კი მიიღო: „ნეკერჩხლის სიროფის დაავადება“.

სპეციალისტები ამბობენ, რომ, რა თქმა უნდა, ადამიანებს არ შეუძლიათ, სრულყოფილად გაარჩიონ დაავადებების სუნები, მაგრამ შესაძლებელია, ეს ცხოველებს შეასწავლონ, მაგალითად, ძაღლებს...

*factroom.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## ფეხმძიმობა და მობილური ტელეფონი შეუთავსებელიაო



ძალიან კარგადაა ცნობილი სპეციალისტების უმრავლესობის დამოკიდებულება მობილური ტელეფონის მიმართ და ალბათ, გასაკვირი არც იელის ინსტიტუტის კვლევის შედეგი უნდა იყოს.

როგორც კვლევის ავტორები ამბობენ, უმჯობესია, მორალური მხარდაჭერა ფეხმძიმე ქალმა არა ტელეფონით, არამედ პირადი შეხვედრებიდან მიიღოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი მოგენატრათ მეგობარი, დედა ან მამიდაშვილი, სტუმრად ეწვიოთ ჯობია, ვიდრე ტელეფონს „ჩამოეკიდოთ“.

დოქტორი ჰიუ ტეილორი მიიჩნევს, რომ არსებობს სერიოზული რისკები, მობილურმა ტელეფონმა ნაყოფზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს. კერძოდ, მომავალში ბავშვის ჰიპერაქტიურობა გამოიწვიოს.

როგორც ხდება ხოლმე, ექსპერიმენტი თაგვებზე ჩატარდა: მღრღნელების შთამომავლები, რომლებიც მობილური ტელეფონის დასხივების არეში ხშირად ხვდებოდნენ, მართლაც ბევრად აქტიურები აღმოჩნდნენ.

– უმჯობესია, ფეხმძიმე ქალებმა მობილური ტელეფონი მაქსიმალურად იშვიათად გამოიყენონ, – ასეთია იელის უნივერსიტეტის გამოცდილი სპეციალისტების რეკომენდაცია.

*myjane.ru*

სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო ამბები... სანტერესო სანტერესო სანტერესო ამბები...

## თითოეულ შვეიცარიელს უფლება აქვს, კანაფის 4 ბუჩქი გაახაროს



ასეთი არცთუ ადვილად გადასადგმელი ნაბიჯით, შვეიცარიის ხელისუფლება ცდილობს, მარიხუანას არალეგალურ მოყვანა-გაყიდვას შეებრძოლოს. ლოგიკა იმაშია, რომ თუკი ადამიანს მარიხუანას მოხმარება სურს და უყვარს, მოსაწევს ნებისმიერ შემთხვევაში იშოვის. ამდენად, ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სჯობს, მცენარე თავადვე გაზარდოს, ვიდრე ფულის გადახდით ნარკობიზნესი გააძლიეროს.

საინტერესო ნიუანსი: იმდენად, რამდენადაც შვეიცარიის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, ქოთანში კანაფის 4 ბუჩქი გაახაროს, თუკი ოჯახში 4 ადამიანი ცხოვრობს, მათ შეუძლიათ, ერთბაშად 16 ბუჩქზე იზრუნონ. ეს უკვე კაი გემრიელი პლანტაციაა, თუმცა სრულიად კანონიერი...

*facte.ru*



ბებია-ბაბუამ შვილიშვილს პორნოგრაფიის ყურებისას წაასწრო. ხმის ამოუღებლად უყურეს ეპიზოდს, შემდეგ კი ქმარმა ცოლს მოულოდნელად შემოარტყა.

– რას აკეთებ, შე ბებერო, სულ გადაირიე?! რას მირტყამ?!

– რატომ გირტყამ და რამდენჯერ გითხარი, ასე შეიძლება-თქო, შენ კი სულ მპასუხობდი, – დავიხრჩობი, დავიხრჩობიო...

*****

– ბიჭებო, ახლა კოტე მოვა და ვისაც პირველს მიესალმება, ის იქნება კვერცხი!

მოვიდა კოტე:

– ვაა, გაუმარჯოს ბიჭებს!..

*****

– რას ჰგავხარ, ისევ დალიე, არა?! ჰოდა, წაეთრიე ახლა ისევ იქ, სადაც ასე გამოტყვერი!

– გასაგებია... ალო, კოტე, ყველაფერი რიგზეა, ვბრუნდები...

*****



გოგო ბიჭს:

– პაემანზე მოხვედი და ყვავილების გარეშე?!

– რას ამბობ – ტრუსებზე სულ გვირილები მახატია...

*****

განცხადება გაზეთში:

– სერიოზული ორგანიზაცია ეძებს გამოცდილ ჰაკერს და სთავაზობს მაღალანაზღაურებად სამსახურს. რეზიუმე განათავსეთ ჩვენი ორგანიზაციის ოფიციალური საიტის მთავარ გვერდზე...

*****

– კოტიკო, გიყვარვარ?

– კაპიკი ფული არ მაქვს!

– ოოო, რა სულ ეგრევე ფულზე იწყებ ხოლმე ლაპარაკს, მე ხომ გრძნობებზე ვსაუბრობ...

– მიყვარხარ, ჩემო ლამაზო, ძალიან მიყვარხარ!

– ეჰ, აწი აღარ აქვს უკვე აზრი...

*****

მიფრინავს ამერიკული კოსმოსური ხომალდი. გადაუფრინეს საქართველოს და ტელესკოპით გადმოხედეს. ერთი ეუბნება მეორეს:

– ეს რა არის, ყველა ქართველი საჯდომით რომ არის მობრუნებული, ჩვენდამი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ?

– არა, კაცო, რა დამოკიდებულება – კარტოფილის მოსავალს იღებენ...

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## რა სარგებლობა მოაქვს... მოწევას?



ალბათ, ყველას გაუკვირდება, ასეთი კითხვის დასმა როგორ შეიძლება, სიგარეტი ხომ ადამიანზე მხოლოდ და მხოლოდ დამღუპველ გავლენას ახდენსო?

პრინციპში, რეაქცია სავსებით გასაგებია და თავადაც ანალოგიურად გაგვიკვირდა, თუმცა კითხვა ამერიკელ მეცნიერებს გაუჩნდათ და თქვენ წარმოიდგინეთ, მასზე საკმაოდ საინტერესო პასუხი მიიღეს.

აღმოჩნდა, რომ თამბაქოს კვამლში შემავალ ელემენტებს იშვიათი სიმსივნის განვითარების შეფერხება შეძლებიათ.

აკუსტიკური ნევრომა, ანუ ნევრინომა ძალიან იშვიათად, თუმცა მაინც ჩნდება ადამიანის შიდა ყურისა და ტვინის დამაკავშირებელ ნერვზე. სტატისტიკის თანახმად, ეს დაავადება 100 ათასიდან მხოლოდ ერთ ადამიანს ემართება და საუკეთესო შემთხვევაში, სმენის დარღვევას იწვევს.

ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა მოულოდნელი კანონზომიერება აღმოაჩინეს: მწეველებში აკუსტიკური ნერვინომის გაჩენის რისკი გაცილებით დაბალია, ვიდრე არამწეველებში.

რაღა თქმა უნდა, ეს კვლევა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიგარეტი სასარგებლოა, რადგან, თუკი მას ადამიანის ერთი უიშვიათესი სიმსივნისგან დაცვა შეუძლია, სამაგიეროდ, ბევრ და ძალიან ხშირ უმძიმეს დაავადებებს იწვევს.

*medportal.ru*

## ბარსელონაში „ჭკვიანი" ურნები გამოჩნდა

ეჰ, რაც არ უნდა ჭკვიანი იყოს გინდა ნაგავი და გინდა ურნა, ადამიანი თუ არ არის მოწესრიგებული, არაფერს არ აქვს აზრი.



თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი თავის დინებაზე უნდა მივუშვათ. აი, მაგალითად, ბარსელონაში გამოიგონეს და უკვე ქალაქის ქუჩებშიც განალაგეს „ჭკვიანი" ურნები, რომლებიც ნაგავს პრესავენ და ამისთვის მზის ენერგიას იყენებენ.

ასეთი ურნების პლუსი ის არის, რომ ნაგვის მოცულობას ისინი ხუთჯერ და მეტჯერ ამცირებენ. ეს კი საშუალებას იძლევა, ნაგვის მოგროვება უფრო ადვილად მოხდეს.

მსგავსი ურნები უკვე წარმატებით გამოიყენება ამერიკასა და იაპონიაში და ნელ-ნელა მთელ მსოფლიოშიც იკიდებს ფეხს.

*cleandex.ru*

## კოლექციონერის გარდაცვალების მიზეზი ავტომობილის მოპარვა გახდა



ალბათ, განსაკუთრებით მშვენიერ სქესს შეიძლება გაუკვირდეს მამაკაცის განსაკუთრებული სიყვარული ავტომობილის მიმართ, თუმცა ჩვენ თუ გვკითხავთ, უჩვეულო ამაში სულაც არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ის გამოთქმა მაინც არ გაგიგიათ: ცოლი და მანქანა არავის უნდა ათხოვოო?

არ არის გამორიცხული, ცოლიც რომ მოეტაცებინათ, ფრანგ კოლექციონერ როჟე ბრიუს ანალოგიურად ენერვიულა, თუმცა ის ლეგენდარული ავტომობილის „სიტროენ 2სივი"-ს მოპარვას გადაყვა, რომელმაც თავის დროზე მეტსახელი „მახინჯი იხვის ჭუჭული" მიიღო.

90 წლის როჟე ბრიუს ავტომობილი მართლაც რარიტეტული იყო, რადგან ის 1988 წელს გამოშვებული „2სივი"-ს უკანასკნელი ეგზემპლარი გახლდათ. საკოლექციო მოდელი 110 ათას ევროდ იყო შეფასებული თანაც ისე, რომ სარეგისტრაციო ნიშნებიც კი არასოდეს ჰქონია. როჟე ბრიუს საკმაოდ დიდი კოლექციიდან რატომღაც მხოლოდ „მახინჯი იხვის ჭუჭული" გაიტაცეს.

*autosvit.com.ua*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**17 ივნისი:** შეეცადეთ, მნიშვნელოვან მომენტებს განზოგადებულად შეხედოთ. თუ ყველა დეტალში ჩაღრმავებას დაიწყებთ, შეიძლება მნიშვნელოვანი გამოგრჩეთ.

**კურო 22.04-21.05**

**17 ივნისი:** შეგიძლიათ, გადაწყვეტილებები ყოველ ნაბიჯზე შეცვალოთ, დაარღვიოთ დაპირებები და ა.შ. თქვენი მომხიბვლელი ღიმილით, ამ დანაშაულებს გამოისყიდით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**17 ივნისი:** შესაძლოა, დღეს ცხოვრების ტემპი შენელებული მოგეჩვენოთ. ალბათ, ძალიან სწრაფად იაზროვნებთ და იმიტომ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**17 ივნისი:** დღეს ან ვინმე დაპატიჟეთ, ან თავად წადით სტუმრად. ისეთ ამბებს გაიგებთ, რომელიც რთული საკითხების მოგვარებაში დაგეხმარებათ.

**ლომი 23.07-22.08**

**17 ივნისი:** როგორც ჩანს, დღეს იმდენად კარგი განწყობა დაგეუფლებათ, რთულ სიტუაციებშიც კი დადებითი მომენტების ძებნას დაიწყებთ. იღბალი არ მიგატოვებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**17 ივნისი:** მცირე დაუდევრობის გამოც კი, შეიძლება რთულ ვითარებაში აღმოჩნდეთ. ამიტომ, ფხიზლად იყავით და წვრილმანი დეტალები არ დაივიწყოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**17 ივნისი:** კარგი დღეა ცვლილებებისთვის, ამაში გაგიმართლებთ, მაგრამ სანამ რამეს მოიმოქმედებთ, კარგად დაფიქრდით, რასაც ცვლით, ნამდვილად გჭირდებათ?

**მორიელი 23.10-21.11**

**17 ივნისი:** ძალიან ფრთხილად იყავით, შეიძლება შეუფერებელ მომენტში ისეთი რამ წამოგცდეთ, რის თქმაც საჭირო არ არის.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**17 ივნისი:** შესაძლოა, დღეს თქვენს სიმართლეში გარშემომყოფების დარწმუნება გაგიჭირდეთ. არ იკამათოთ, უბრალოდ, ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ თვლით, მოგვიანებით გაგიგებენ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**17 ივნისი:** შეიძლება დღეს ვიღაცის პრობლემების მოსმენა და მისი დამშვიდება მოგიწიოთ. წინასწარ მოიფიქრეთ მიზეზი, რითაც ამას თავს აარიდებთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**17 ივნისი:** სანამ რამე საქმეს წამოიწყებთ, ყველაფერი კარგად დაგეგმეთ და გაიაზრეთ. საჭირო არ არის დიდი ენერგიის დახარჯვა იმაზე, რაც მარტივი გასაკეთებელია.

**თევზები 19.02-20.03**

**17 ივნისი:** შეეცადეთ, დრო გამოძებნოთ და გაერთოთ, საქმეების მოგვარებას მერეც მოასწრებთ. დასვენება და განტვირთვა გჭირდებათ, თქვენ ეს დაიმსახურეთ.

გაზეთი „ალია" სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 577 74 99 89

„ალიას" რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)

## ადამიანების ნაცვლად, ომში რობოტები 2025 წელს ჩაებმებიანო



არა, იმის თქმა კი არ გვინდა, რომ 2025 წელს ომი იქნება. უბრალოდ, თუ მსგავსი რამ მოხდება, ამ დროისთვის უკვე მზად იქნებიან რობოტები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებში ადამიანებს ჩაანაცვლებენ. ყოველ შემთხვევაში, პენტაგონის სამხედრო-სამეცნიერო განყოფილების გათვლები ზუსტად ასეთია.

მორიგი ნაბიჯი, რომელიც პენტაგონმა ამ მიმართულებით გადადგა, თავის თავში წარმოადგენს ოთხკიდურიან რობოტს, რომელიც 30 კილომეტრ/საათის სიჩქარის განვითარებას ახერხებს. ასევე, შექმნილია მუხლუხებიანი რობოტი, რომელსაც ნებისმიერი ზედაპირის დაძლევა შეუძლია.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ პენტაგონის შესაბამის ქვეგანყოფილებას გამოცხადებული აქვს კონკურსი უნიკალური ე.წ. ჰუმანოიდური რობოტის შექმნისთვის, რაზეც სულ ცოტა ხნის წინ უკვე მოგიყევით. წინასწარი გათვლებით, რობოტს უნდა შეეძლოს ავტომობილის მართვა, დამოუკიდებლად სიარული და გზაში შეხვედრილი ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ამ ამბიციური პროექტის რეალიზება სავსებით შესაძლებელია. მით უმეტეს, რომ რობოტებს უკვე თანამედროვე მსოფლიოს არაერთი სფერო აქვთ დაპყრობილი.

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*




– რას იზამ, წახვალ არჩევნებზე?

– კი წავალ, თუ ფულს მომცემენ, კარგ საჩუქარს გამიკეთებენ და რაიმე თანამდებობას შემპირდებიან.

– გასაგებია და რომელ პარტიას უნდა მისცე ხმა?

– რა თქმა უნდა, იმას, რომელიც სახელმწიფოში კორუფციას გამოუცხადებს დაუნდობელ ბრძოლას.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია"

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.10